ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან № 45 (847) ხუთშაბათი, 24 მარტი, 1994 წელი ფასი 2000 კუპონი

პირველი სვეტი

ნატოში ინტეგრირებისაკენ

ბელგიაში და ევროგაერთიანებებთან საქართველოს რესპუბლიკის ელჩმა ზურაბ აბაშიძემ საქინფორმს შეატყობინა, რომ გუშინ ჩვენმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიქვაიძემ ნატოს შტაბ-ბინაში ხელი მოაწერა „მშვიდობისათვის პარტნიორობის“ პროგრამას.

პროგრამა გულისხმობს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებასა და ფართო ორმხრივი თანამშრომლობის განხორციელებას, მომავალში ნატოში მათი შესაძლო ინტეგრირების მიზნით.

ხელმოწერის ცერემონიას, რომელსაც ესწრებოდნენ ნატოს საბჭოს მუდმივი წევრები, სიტყვები წარმოთქვეს ამ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა მანფრედ ვიორნერმა და ალექსანდრე ჩიქვაიძემ. გაიმართა პრესკონფერენცია მ. ვიორნერისა და ა. ჩიქვაიძის მონაწილეობით, რომლებმაც უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებს.

ახლო მომავალში ექსპერტთა ჯგუფები შეუდგებიან მუშაობას ნატოსა და საქართველოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის სამუშაო გეგმის მოსამზადებლად. მათი მთავარი მიმართულებები იქნება: თანამედროვე ქართული ჯარის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ოფიცრებისა და სამხედრო სპეციალისტების მომზადება, ერთობლივ სამხედრო წვრთნებში მონაწილეობა, თანამშრომლობა მშვიდობის დაცვის საქმეში, სამეცნიერო და ეკონომიკური კავშირების გაფართოება.

ნატოს შტაბ-ბინაში ქ. ბრიუსელში გაიხსნება საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობა.

* * *

სეპარატისტები არ ცხრებიან

ზუგდიდიდან საქინფორმის კორესპონდენტმა თამაზ როგავამ გვაცნობა, რომ აფხაზი და ჩრდილოეთკავკასიელი ბოევიკები კვლავ პროვოკაციულად ესხმიან თავს და ძარცვავენ გალისა და აფხაზეთის სხვა რაიონების მშვიდობიან მოქალაქეებს, აგრეთვე ენგურის გაყოლებით მდებარე წალენჯიხისა და ზუგდიდის სოფლებს.

* * *

თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახური გვატყობინებს

ბოლო ორი დღის განმავლობაში აფხაზეთა მხარე სისტემატურად აწყობს პროვოკაციებს მდინარე ენგურზე, აქ განლაგებულ ჩვენს საგუშაგოებსა და სოფლებს უსისტემოდ უშენს ავტომატებისა და ყუმბარსატყორცნების ცეცხლს. გუშინ იყო დივერსიული ჯგუფის შემოსვლის მცდელობა სოფელ ორსანტიის მიდამოებში. თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის მებრძოლებმა დივერსიის მცდელობა აღკვეთეს. დივერსიული ჯგუფი უკუგდებულია. ერთი დივერსანტი დაიჭრა. ამის საპასუხოდ ბოევიკებმა გაძარცვეს რამდენიმე სახლი გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში.

* * *

ბოროტმოქმედებმა ჯავრი იყარეს

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, ზუგდიდის რაიონში, [illegible] პოლიციის თანამშრომლები [illegible] დაზარალდნენ. [illegible] შინაგან [illegible] ღონისძიებებს ატარებდნენ, [illegible] ავტომატებიდან [illegible] გაუხსნეს ოპერატიული ჯგუფის წევრებს. ამის შედეგად დაიღუპა ორი პოლიციელი. თავდამსხმელები, რომლებიც [illegible] მარკის მსუბუქ ავტომანქანაში ისხდნენ, შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

მიღწეულია შეთანხმება ვალების გადავადების თაობაზე

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის პრესცენტრის განცხადება

სააგენტო „იბერიამ“ გაავრცელა ცნობა იმის თაობაზე, რომ, თითქოს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ოთარ ფაციაციას მიერ აშგაბადში ხელმოწერილი შეთანხმების მიხედვით წლეულს თურქმენეთი საქართველოს მიაწვდის ბუნებრივ აირს საქართველოს მიერ გადაცემული რამდენიმე საზღვაო გემის, კვების პროდუქტებისა და სხვა პროდუქციის სანაცვლოდ.

სააგენტო „იბერიის“ მიერ გავრცელებულ ამ ცნობაში დაშვებულია პრინციპული უზუსტობა.

ბატონ ო. ფაციაციას ერთდღიანი ვიზიტი თურქმენეთში შედგა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მიერ ბუნებრივი აირის ღირებულებისა და ტრანზიტის საფასურის გადაუხდელობის გამო, რომელმაც 286,7 მლნ. დოლარს მიაღწია, თურქმენეთის მთავრობა აპირებდა ამ ენერგიაშემცველის მოწოდების შეწყვეტას. საქართველოს მთავრობის დელეგაციის თურქმენეთის ხელმძღვანელობასთან მუშაობის შედეგად მიღწეულია შეთანხმება ვალების გადავადების თაობაზე მიმდინარე წლის 1 მაისამდე. ამავე დროს, დაზუსტდა საქართველოს მიერ გამონაკლისის სახით კლირინგის წესით მისაწოდებელი პროდუქციის ჩამონათვალი, შემუშავდა მიწოდებათა უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

რაც შეეხება გემებს, საქმე ეხება „საქთევზმრეწვის“ ჩამოწერილ სამ გემს, რომლებიც თურქმენეთის მხარის წარმომადგენლებმა ჯერ უნდა ნახონ, ხოლო შემდეგ გადაწყვიტონ მათი, როგორც ჯართის, შესყიდვის საკითხი.

ჩვენს არემარეში

საქინფორმისა და „იბერიის“ ლენტიდან

ქასპი. კასპის ცემენტის ქარხანამ რუსეთიდან მიიღო ხუთი ვაგონი აზბესტი, რომელიც საჭიროა შიფერის დასამზადებლად. საწარმოო გაერთიანების „საქსაშენმასალების“ ხელმძღვანელობის აზრით, ამ რაოდენობის საშენი მასალა საწარმოს ეყოფა 250 ტონა შიფერის დასამზადებლად, რომლის გამოშვებას ქარხანა გეგმავს სამი თვის მანძილზე წარმოების ყოველდღიური მუშაობის გათვალისწინებით.

გორი. რესპუბლიკის მთავრობამ მიმდინარე წლისათვის გორის რაიონს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა საწარმოებლად გამოუყო 14 მილიარდი კუპონი. რაიონის ხელმძღვანელობის აზრით, სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის აუცილებელი იქნება მნიშვნელოვნად მეტი თანხა, სახელდობრ 45 მილიარდი. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ხაზინიდან გამოყოფილი კუპონებით ნაღდი სახით ვერ ისარგებლებენ — ბენზინის გადარიცხვით ყიდვა კი, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

თბილისი. დამთავრდა თბილისის სამკერვალო ფაბრიკის „კოლხეთის“ რეკონსტრუქცია და ტექნიკური ხელახალი აღჭურვა. ჩარხების პარკის განახლება ხდებოდა იაპონიის ფირმა „ტოკიო ჯუკი ინდუსტრიასთან“ კონტრაქტით. საწარმოში მიღებულია ამერიკული ფირმის „გერბერის“ ჩარხები.

რუსთავი. რუსთავის ქიმიურ საწარმოებში დაინერგა რამდენიმე აგრეგატი, რომელიც გარემოს დაცვის მიზნებს ემსახურება. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წყლის გამწმენდ მოწყობილობას, რომელიც საშუალებას იძლევა მრავალგზის გამოიყენონ საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ ჩამდინარე წყლები. მისი უპირატესობა ისიც არის, რომ იგი ემსახურება არა მარტო გარემოს დაცვას, არამედ მნიშვნელოვნად ზოგავს ძვირადღირებულ წყალს.

თბილისი. საქართველო-იტალიის ერთობლივმა საწარმომ „საკარგომ“ იტალიაში გაგზავნა ქართული მარმარილოს პირველი პარტია. იტალიის ფირმის „არგოს“ წყალობით ეს პროდუქცია ფართოდ იქნება რეკლამირებული. როგორც აცნობა საქინფორმის კორესპონდენტს საწარმოო გაერთიანების „საქმშენმასალების“ უფროსმა გივი მეფარიშვილმა, „იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი პროდუქცია იპოვის მყიდველს და მაშინ შესაძლებელი იქნება ლაპარაკი მარმარილოს მუდმივ ექსპორტზე“.

23 მარტს ქ. ფოთში შემოვიდა იტალიიდან ფქვილით დატვირთული გემი. შემოტანილი რაოდენობა, რომელიც 2.950 ტონას შეადგენს, ნაწილია იტალიაში ევროკრედიტით შეძენილი 60.000 ტ. ფქვილისა.

საქართველოსათვის გამოყოფილი ევროკრედიტით საფრანგეთში შეძენილია 30.000 ტ. ხორბალი. პირველი გემი პორტ რუენიდან 23 მარტს იღებს გეზს საქართველოსკენ.

საქართველოს ვიცე-პრემიერი ავთანდილ მარგიანი თურქეთში იმყოფებოდა საქართველოს მიმართულებით მიმავალი გემების გამოტარების საკითხის მოსაწესრიგებლად. ამავე დროს მან რესპუბლიკისათვის ხელსაყრელ ფასებში ადგილზე 10.000-მდე ტონა ხორბლის შესყიდვის საკითხი გადაწყვიტა.

ა. მარგიანი გუშინ ბაქოში ჩავიდა საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური ურთიერთობის ოპერატიულ საკითხებზე მოსალაპარაკებლად.

აქტუალური ინტერვიუ

„მომეცით საყრდენი წერტილი და...“

რესპუბლიკის მოსახლეობა დღეს ისე ცუდად ცხოვრობს, აღარავის ახსოვს, თუ როდისმე ცხოვრობდა კარგად. თავს იმითღა „ვიმშვიდებთ“, ლტოლვილებს, უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანებს ჩვენზე მეტად უჭირთო. ეკონომიკურ სიდუხჭირეს კიდევ გაუძლებდა კაცი, რომ არა ძარცვა-ყაჩაღობა, მკვლელობები, ტერორისტული აქტები და ა. შ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს არავითარ ძალას აღარ ძალუძს ნანატრი სიმშვიდისა და წესრიგის დამყარება, თუმცა, რესპუბლიკის უშიშროების მინისტრი ბატონი იგორ გიორგაძე ამ პესიმისტურ მოსაზრებებს არ იზიარებს.

— ბატონო მინისტრო, თითქმის ერთი თვის განმავლობაში იმყოფებოდით დასავლეთ საქართველოში. რამ გამოიწვია ეს ხანგრძლივი მივლინება?

— სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით, დამევალა ბრიგადის ჩამოყალიბება და გამგზავრება დასავლეთ საქართველოში, რათა ადგილზე გავცნობოდი იქ მიმდინარე პროცესებს და ქმედითი ღონისძიებანი გამეხორციელებინა უკიდურესად გამწვავებული კრიმინოგენული სიტუაციის განსამუხტავად. 20 თებერვლიდან 14 მარტამდე ვიმყოფებოდით ფოთში ოპერატიულ ბრიგადასთან ერთად, რომელმაც ძალზე რთული და შრომატევადი სამუშაო შეასრულა. ჩემთან ერთად იყვნენ უშიშროების სამინისტროს სპეცდანაყოფები, რომლებიც ატარებდნენ ოპერაციებს შეიარაღებული ჯგუფების გამოსავლენად და შემოსარიგებლად. ეს არ იყო დამსჯელი ოპერაციები, ჩვენ ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს ექს-პრეზიდენტის მხარეზე მებრძოლ შეიარაღებულ ფორმირებათა მეთაურებთან, რომლებიც დღემდე ტყეებს აფარებენ თავს. საყოველთაო შემორიგებაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან ყველა პიროვნებას, რომელიც მშვიდობიან მოსახლეობას ძარცვავდა და აწიოკებდა, ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის დანაშაული და პასუხიც უნდა აგოს კანონის წინაშე. ყველაზე დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ შეიარაღებული ფორმით „ზვიადიზმის“ რეანიმაციის საშიშროება აღარ არსებობს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო ომის რეციდივის განმეორების საფრთხე დასავლეთ საქართველოში მოისპო. მიმაჩნია, რომ ეს სხვებთან ერთად უშიშროების სამინისტროს თანამშრომლების დამსახურებაც არის.

24 დღის განმავლობაში სამ შეიარაღებულ ჯგუფთან ვაწარმოებდით მოლაპარაკებას. მართალია, 160 კაციდან, ვინც ამ ჯგუფში იყო გაერთიანებული, ყველა ვერ შემოვირიგეთ, მაგრამ მოლაპარაკება გრძელდება და იგი სიფრთხილეს, მოთმინებასა და დროს მოითხოვს. სამუშაოს თვითონ სამართალდამცავი ორგანოების ზოგიერთი მუშაკიც გვირთულებდა, რომლებიც, როგორც გამოირკვა, ტყიდან გამოსულ ავტომატიან ადამიანებს „შემორიგებისათვის“ საკმაოდ სოლიდურ თანხებს სთხოვენ. ნებაყოფლობით ჩაბარებული იარაღის გარდა, დიდძალი იარაღის ჩამორთმევაც მოვახერხეთ, დავიბრუნეთ გატაცებული სატვირთო ტრანსპორტი, ტექნიკა. მაგრამ ეს მივლინების მატერიალური მხარეა, რაც ნაკლებმნიშვნელოვნად მიმაჩნია. უმთავრესი ის იყო, რომ ხალხმა ჩვენს უწყებას ნდობა გამოუცხადა, ამას უდიდესი სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

— მთელი რესპუბლიკა შეაშფოთა ორი ძალოვანი სამინისტროს ხელმძღვანელს შორის მომხდარმა ინციდენტმა, როგორ დასრულდა იგი?

— შსსა და თავდაცვის მინისტრს შორის წარმოშობილ კონფლიქტში გონიერებამ გაიმარჯვა. სამთავრობო კომისიას ჯერ არ დაუსრულებია მუშაობა, ვფიქრობ, იგი დაადგენს მტყუან-მართალს. ჩემთვის ეს საკითხი უმნიშვნელოვანესი იყო, რათა არ მომხდარიყო კონფლიქტის შემდგომი გამწვავება. ეს სახელმწიფოს ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა იყო. გაურკვეველი სიტუაცია შეიძლება გამოყენებულიყო, როგორც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. ზარალი, რომელიც უშიშროების სამსახურმა განიცადა, ძალზე მნიშვნელოვანია. კუპონებში მან 18 მილიარდი კუპონი შეადგინა. მძიმედ დაიჭრა ორი თანამშრომელი, აფეთქებისას დაიმსხვრა თანამშრომლების მანქანებიც. ვფიქრობ, ჩვენ შევძელით თავიდან აგვეცილებინა კონფლიქტის გამო წარმოქმნილი გართულებანი, როცა კონტრდაზვერვის შენობის ხელში ჩასაგდებად ქუჩაში გამოიყვანეს ჯავშანტექნიკა და შეიარაღებული ადამიანები. ყველაფერი „მცირედი სისხლის“ დაღვრით დამთავრდა.

— ბატონო იგორ, დარღვევები საბანკო, საკრედიტო-ფინანსურ სისტემაში, ჰუმანური დახმარების დატაცება, სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეულის სახელმწიფოდან უკონტროლოდ გატანა, გვაფიქრებინებს, რომ საქართველოში მძლავრი მაფია მოქმედებს.

— თითქმის ორი წელიწადია, ლაპარაკია საკრედიტო-საფინანსო სისტემაში არსებული დარღვევების შესახებ, შეიქმნა და მუშაობდა რამდენიმე კომისია, ეჭვმიტანილებიც დააპატიმრეს, მაგ-

(დასასრული მე-2 გვ.).

ამერიკა — საქართველოს პარტნიორი

ხიდები

გაუსაძლის კრიზისში ჩავარდნილი საქართველო ახლა კრიზისიდან თავის დაღწევის გზებს სად აღარ ეძებს — პოსტკომუნისტურ რესპუბლიკებში, ევროპაში, აზიასა და შორეულ ამერიკაშიც. ამ უკანასკნელში სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ვიზიტმა, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ქვეყნის პოლიტიკასა და ეკონომიკას დიდი სარგებლობა უნდა მოუტანოს. ამის დასტურია საუბარი საქართველოს მრეწველობის მინისტრთან ვლადიმერ კერესელიძესთან, რომელიც ვიზიტის დროს ქართული დელეგაციის მუშაობაში მონაწილეობდა.

— მე და გივი თალაკვაძე (მინისტრის მოადგილე), — მითხრა ბატონმა ვლადიმერმა, — ვიზიტის დაწყებამდე ქართული მისიის ეკონომიკური ბლოკის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ვაშინგტონში ერთი კვირით ადრე ჩავედით. ეს დრო ნაყოფიერად გამოვიყენეთ ვიზიტთან დაკავშირებული საკითხების მოსამზადებლად.

შედეგიანი და პროდუქტიული შეხვედრები გვქონდა მსოფლიო ბანკში, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაში, უცხოეთში კერძო ინვესტიციების კორპორაციაში, ამერიკის სხვა წამყვან კომპანიებსა და ფირმებში. ვაშინგტონში საქართველოს ოფიციალური დელეგაციის ჩამოსვლისა და ძირითადი სამთავრობო ხელშეკრულებების ხელმოწერის შემდეგ ეს მუშაობა ნიუ-იორკში გაგრძელდა.

— ალბათ შეხვდით იმ სტრუქტურათა წარმომადგენლებს, რომლებიც დაინტერესებული არიან საქართველოს მრეწველობაში შექმნილი მდგომარეობითა და პერსპექტივით.

— რა თქმა უნდა. მსოფლიო ბანკში, მაგალითად, კონსტრუქციული საუბრები გვქონდა ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა რესტრუქტურიზაციასთან, პრივატიზაციასა და მის თანმხლებ პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ შეხვედრებზე შემუშავდა საერთო აზრი, რომლის საბოლოო ფორმირებაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

— კერძოდ, რა საერთო აზრზეა ლაპარაკი?

— შევთანხმდით, რომ ამ ეტაპზე ძირითადი ყურადღება დაეთმობა ჩვენს მრეწველობაში პრიორიტეტული დარგების დაფინანსირებას და შესაბამის საწარმოთა განვითარების გრძელვადიანი პროგრამების შემუშავებას. რა თქმა უნდა, საამისოდ სავალუტო სახსრებს ამერიკელები გამოყოფენ, რომლებიც კისრულობენ ამ საწარმოთა წარმომადგენლების საზღვარგარეთ სწავლებას, საწარმოების სტრუქტურათა დახვეწას, კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნასა და მსოფლიოს ბაზარზე რეალიზაციას.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ხელმძღვანელობასთან პრაქტიკულად ჩვენს პირველ შეხვედრას, რომელიც შეეხებოდა კონკრეტული პროგრამების დაფინანსებას. ამ კორპორაციის ევროპისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ბატონ პოლ ხინჩთან მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ საქართველოსა და უცხოეთის საწარმოებს (ფირმებს) შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ერთობლივი საქმიანობის გარკვეული ნაწილი (დაახლოებით 25 პროცენტი) უკვე დაფინანსდება.

— ეს უკვე რეალური საქმეა.

— რეალური და თანაც როგორი. ეს იმის საფუძველს ქმნის, რომ პრაქტიკულად ნებისმიერი უცხოელი პარტნიორი ჩაებას ჩვენთან ურთიერთხელსაყრელ საქმიანობაში.

მარტო ეს არ არის. ვაშინგტონში გაიმართა შეხვედრები საქართველოს სამთამადნო მრეწველობის (ჭიათურა, ზესტაფონი, ტყიბული) ენერგეტიკულ-ინდუსტრიული კომპლექსის განვითარების პროგრამის თაობაზე. იგი გულისხმობს 600-მეგავატიანი ქვანახშირის თბოელექტროსადგურის მშენებლობას, რომელიც მოემსახურება მანგანუმისა და ქვანახშირის მოპოვებას, ლითონის გამოდნობისას მანგანუმის გამოყენებას, დააკმაყოფილებს დასავლეთ საქართველოს საკვანძო ეკონომიკური ზონის — ფოთის ნავსადგურის მოთხოვნებს. ამასთან, ვარაუდობენ, რომ 200 მეგავატი ენერგიის მიცემა შეიძლება თურქეთისა და სხვა მეზობელი ქვეყნებისათვის, საიდანაც საქართველო სავალუტო შემოსავალს მიიღებს.

— შემოსავლებს ვინ ჩივის, ენერგეტიკულმა კრიზისმა მთელი საქართველო დაადამბლავა. გაჩერებულია საწარმოები, გაწამებულია მოსახლეობა. ალბათ, ვერავითარი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ვერ გამოგვიყვანს კრიზისიდან, თუ არ გამოვიმუშავეთ ელექტროენერგია, არ ავამუშავეთ საწარმოები, არ შევქმენით პროდუქცია.

— სრული სიმართლეა. ამიტომაც ეს პრობლემა კიდევ ერთხელ მთელი სიმწვავით გამოიკვეთა ნიუ-იორკში კომპანიების „რეითიონისა“ და „ვექტორს ინტერნეიშნელის“ ხელმძღვანელებთან ბატონ ედუარდ შევარდნაძის შეხვედრისას. სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ „რეითიონში“ (ოფიციალური დელეგაციის გამგზავრების შემდეგ) გაიმართა სამუშაო სხდომა, სადაც ჩამოყალიბდა ჩვენი ერთობლივი საქმიანობის კონკრეტული პროგრამა.

— თბილისის თბოელექტროსადგურს თუ რამე ეშველება?

— სწორედ [illegible] მთავარი ნდობა შეიქმნა. უახლოეს მომავალში ჩვენთან ჩამოვლენ ამერიკელი ექსპერტები, აღნიშნული ფირმების ხელმძღვანელები, რომლებიც ადგილზე დააზუსტებენ დეტალებს და მუშაობასაც დაიწყებენ. ამათგან ერთ-ერთი უმთავრესია თბილსრესში სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულება, მომავალი ზამთრის სეზონისათვის, დედაქალაქის მოსახლეობისა და საწარმოთა ელექტროენერგიით მომარაგების არსებითი გაუმჯობესება.

ამ პროგრამაზე ბევრის თქმა შეიძლება. იგი, რომელიც საქართველოს ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების ბაზაზე არსებული ინდუსტრიული სიმძლავრეების სრულად ამოქმედებას ითვალისწინებს, ქვეყნის ეკონომიკის საბაზისო პროგრამად შეიძლება ჩაითვალოს.

საგულისხმოა, რომ ზემოთ დასახელებული კომპანიები ჩვენთან მუშაობისათვის გვიშუამდგომლებენ დასავლეთის სხვა კომპანიებთანაც, რომლებიც კერძო ბიზნესთან დაკავშირებული არიან კონსორციუმით. ვინაიდან კონგლომერატი შეიძლება გადაიზარდოს სხვა დარგებშიც (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი), სავარაუდოა, კონსორციუმში დამატებით დასავლეთის სხვა კომპანიებიც მოვიწვიოთ. უფრო დეტალურად მხარეთა ინტერესებს მოგვიანებით განვიხილავთ.

საიმედოა ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდა ფირმა „მ. ი. ს. ინდასტრის ინკორპორეიშენთან“. ეს ფირმა, რომელიც სხვა სტრუქტურებსაც მოიზიდავს, დაინტერესდება საქართველოს თვითმფრინავმშენებლობით, სპილენძის მოპოვება-გადამუშავებით. გარიგება ითვალისწინებს ბიზნესკლასის თვითმფრინავების „იაკ-58“-ისა და „სუ-16“-ის ერთობლივ გამოშვებასა და რეალიზაციას, აგრეთვე მადნეულის სამთომამდიდრებელი კომბინატის ბაზაზე დასრულებული ტექნოლოგიური ციკლის განხორციელებას.

არის სხვა გარიგებებიც. ჩვენი მრეწველობის სამინისტროსა და ფირმა „მელ-კორპორეიშენს“ შორის, მაგალითად, დაიდო შეთანხმება ქართულ-ამერიკული კონსორციუმის შექმნის თაობაზე, რომელიც უზრუნველყოფს ფართო მოხმარების საქონლის ერთობლივ წარმოებას, საწარმოთა პრივატიზაციის ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. ნიუ-იორკში გაიხსნება ერთობლივი კონსორციუმის ოფისი, რომლის პრეზენტაცია აპრილის დამლევისათვის არის დაგეგმილი.

ვფიქრობ, საყოფაცხოვრებო ელექტრონულ დანადგარებში ფართო გამოყენებას ჰპოვებს ახალი ტიპის დენის წყარო — ბრტყელი ბატარეები (ამჟამად ხმარებაშია მრგვალი ბატარეები), რომლის ერთობლივი წარმოებაც განვიზრახეთ. ამერიკის მხარე კისრულობს მოგვაწოდოს ტექნოლოგია, აუცილებელი დანადგარები და სხვა კომპონენტები, რომლებიც საქართველოს არ გააჩნია. პარტნიორივე კისრულობს უზრუნველყოს მარკეტინგი და პროდუქციის გასაღება.

— ბატონო ვლადიმერ, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ საკითხავია როგორ იქნება დაცული ჩვენთან უცხოური ინვესტიციები? მართალია ბოლო ხანს ამ მიმართებით ერთგვარი საკანონმდებლო ბაზა შევქმენით, მაგრამ არა მგონია ყველაფერი რიგზე გვქონდეს.

— გეთანხმებით. სწორედ ამ გარანტიების უქონლობა განაპირობებდა ძირითადად ჩვენში უამრავი გარიგებისა და შეთანხმების განუხორციელებლობას. არ იყო გარანტიები და ინვესტორები თავს საფრთხეში რატომ ჩაიგდებდნენ? ახლა სურათი შეიცვალა, დღეს ამ დიდ ქვეყანასთან ურთიერთობისთვის გვაქვს სამართლებრივი ბაზა — ხელი მოვაწერეთ ვაშინგტონის დეკლარაციას, შეთანხმებას ინვესტიციების ურთიერთდაცვის საკითხებზე. „ეს ის დოკუმენტია, — თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — რომელიც დიდ არხებს ხსნის საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ეკონომიკური და სხვა სახის თანამშრომლობის განვითარებისათვის. ეს ძალიან საჭირო და აუცილებელია“.

ასე რომ, დღეიდან უცხოელი ინვესტორი აღარ გაგვექცევა, აქეთ შემოგვეხვეწება, რადგან საქართველოსთან დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას მყარი იურიდიულ-საფინანსო დამცავი მექანიზმი ექნება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ასეთი ხელშეკრულება დადო ამერიკასთან, რომლის ეკონომიკურ-ტექნოლოგიური ავტორიტეტი საყოველთაოდ ცნობილია.

— და ამით დამთავრდა ყველაფერი?

— არა. ამით კი არ დამთავრდა, ფაქტობრივად დაიწყო რეალური და სერიოზული მუშაობა მსოფლიოს წამყვან ეკონომიკურ ქვეყანასთან. ჩვენი ურთიერთობა სამომავლოდ კიდევ უფრო დაიხვეწება, გაღრმავდება და მალამოდ დაედება საქართველოს დაუძლურებულ მრეწველობას.

ესაუბრა
ოთარ ხუციშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1992 წ. № 2, მუხ. 97) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

კანონის მე-8 და მე-9 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 8. საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის, მინისტრთა კაბინეტისა და მინისტრთა კაბინეტის წევრებისადმი ნდობის საკითხის დასმისა და გადაწყვეტის წესი.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს უფლება აქვს პარლამენტის წინაშე დასვას მინისტრთა კაბინეტისადმი ნდობის საკითხი კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საკითხის განხილვა იწყება მისი დასმიდან მე-3 დღეს, ხოლო კენჭისყრა ტარდება მე-6 დღეს. დადგენილება მინისტრთა კაბინეტისათვის ნდობის გამოცხადების შესახებ მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ნდობის გამოცხადების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრის მიერ დასმული კონკრეტული საკითხი დადებითად გადაწყვეტილად ჩაითვლება. ნდობის გამოცხადებაზე უარის თქმა იწვევს მინისტრთა კაბინეტის გადადგომას.

პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს, პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის სულ ცოტა ერთ მეხუთედს, უფლება აქვთ პარლამენტის წინაშე დასვან პრემიერ-მინისტრის, მინისტრთა კაბინეტის ან მინისტრთა კაბინეტის წევრებისადმი ნდობის საკითხი. ამ შემთხვევაში პარლამენტს წარედგინება უნდობლობის მოტივირებული რეზოლუცია. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საკითხის განხილვა იწყება უნდობლობის რეზოლუციის შეტანიდან მე-3 დღეს, ხოლო კენჭისყრა ტარდება მე-6 დღეს. დადგენილება უნდობლობის გამოცხადების შესახებ მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

პრემიერ-მინისტრისათვის უნდობლობის გამოცხადება იწვევს მინისტრთა კაბინეტის გადადგომას, ასევე მინისტრთა კაბინეტისათვის, ან მინისტრისათვის უნდობლობის გამოცხადება — შესაბამისად მათ გადადგომას.

უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი, მინისტრთა კაბინეტი თუ კაბინეტის ცალკეული წევრი აგრძელებენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერ-მინისტრის, მინისტრთა კაბინეტისა თუ კაბინეტის წევრის დანიშვნამდე.

მუხლი 9. საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის, მინისტრთა კაბინეტის, მინისტრთა კაბინეტის წევრის გადადგომის უფლება და წესი.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს უფლება აქვს გადადგეს. პრემიერ-მინისტრის გადადგომა იწვევს მინისტრთა კაბინეტის გადადგომას. გადადგომის შესახებ მოტივირებულ განცხადებას პრემიერ-მინისტრი წარუდგენს პარლამენტს. პარლამენტი უფლებამოსილია არ მიიღოს გადადგომა, თუ ამაზე იქნება პრემიერ-მინისტრის თანხმობა.

მინისტრთა კაბინეტის წევრს უფლება აქვს გადადგეს. გადადგომის შესახებ მოტივირებული განცხადება წარედგინება სახელმწიფოს მეთაურსა და პარლამენტს. სახელმწიფოს მეთაური უფლებამოსილია არ მიიღოს გადადგომა, თუ ამაზე იქნება კაბინეტის წევრის თანხმობა. გადადგომის მიღება არ საჭიროებს პარლამენტის დასტურს.

მინისტრთა კაბინეტს უფლება აქვს გადადგეს. გადადგომის შესახებ მოტივირებული განცხადება წარედგინება პარლამენტს. პარლამენტი უფლებამოსილია არ მიიღოს გადადგომა, თუ ამაზე იქნება მინისტრთა კაბინეტის თანხმობა.

დადგენილება გადადგომის საკითხთან დაკავშირებით მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

გადადგომის შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი, მინისტრთა კაბინეტი, კაბინეტის ცალკეული წევრები აგრძელებენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერ-მინისტრის, მინისტრთა კაბინეტის თუ კაბინეტის წევრის დანიშვნამდე.

2. მე-19 მუხლის მეხუთე აბზაცში სიტყვები „სოციალური უზრუნველყოფის“ შეიცვალოს სიტყვებით „შრომისა და სოციალური დაცვის“.

3. 21-ე მუხლის მეოთხე ნაწილში სიტყვები „მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმი“ შეიცვალოს სიტყვებით „მინისტრთა კაბინეტი“.

4. 22-ე მუხლში:

პირველ ნაწილს სიტყვების „სახელმწიფო ინსპექცია“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სახელმწიფო კორპორაცია, სახელმწიფო კონცერნი“.

მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქვეუწყებო ორგანოების ხელმძღვანელებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი სახელმწიფოს მეთაურთან შეთანხმებით, ხოლო მოადგილეებს — ამ ორგანოთა ხელმძღვანელები“.

მესამე ნაწილი ამოღებულ იქნეს.

5. 25-ე მუხლში:

მუხლის სათაურს დაემატოს სიტყვები „და კომიტეტები“;

მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტრო“, „სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტრო“, „სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო“, „ტრანსპორტის სამინისტრო“, „მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის კომიტეტი“, „სპორტის კომიტეტი“, „ტურიზმის კომიტეტი“, „სატყეო მეურნეობის კომიტეტი“, „საბაჟო კომიტეტი“.

სიტყვების „შინაგან საქმეთა სამინისტრო“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო“, ხოლო სიტყვების „ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტი“ შემდეგ — სიტყვები „არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტი“. მუხლში სიტყვა „ტექნიკის“ შეიცვალოს სიტყვით „ტექნოლოგიის“.

6. 26-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომები მოიწვევა ორ კვირაში ერთხელ“.

7. 27-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

8. 28-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „და მისი პრეზიდიუმის“.

9. 31-ე მუხლი ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით:

მუხლი 31. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად, მათი შესრულების სისტემატური შემოწმებისათვის მოქმედებს მინისტრთა კაბინეტის აპარატი.

ანალიზური, საინფორმაციო და სხვა მასალების, სათანადო წინადადებების პროექტების მომზადებას, ნორმათშემოქმედებით საქმიანობას, მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას და მათი შესრულების კოორდინაციას ახორციელებენ მინისტრთა კაბინეტის აპარატის მთავარი სახელმწიფო მრჩევლები.

მინისტრთა კაბინეტის აპარატს სათავეში უდგას მინისტრთა კაბინეტის აპარატის ხელმძღვანელი. აპარატის ხელმძღვანელს, მთავარ სახელმწიფო მრჩევლებს და ძირითად ქვედანაყოფთა ხელმძღვანელებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრთა კაბინეტი.

აპარატის მუშაკთა უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას განსაზღვრავს დებულება, რომელსაც ამტკიცებს მინისტრთა კაბინეტი.

მინისტრთა კაბინეტის აპარატის სტრუქტურას, შტატებს, შენახვის ხარჯებს და მუშაკთა შრომის ანაზღაურებას განსაზღვრავს პრემიერ-მინისტრი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1994 წლის 15 მარტი.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას

საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრიდან აცნობეს, რომ ამ დღეებში მოსკოვში რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრმა, არმიის გენერალმა ვიქტორ ერინმა და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა, გენერალ-ლეიტენანტმა შოთა კვირაიამ ხელი მოაწერეს ორი სახელმწიფოს შინაგან საქმეთა სამინისტროების თანამშრომლობის შეთანხმებას. იგი ითვალისწინებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში თანადგომის ღონისძიებათა ფართო სპექტრს.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ამგვარი შეთანხმებები უკვე დადებული აქვს სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ყაზახეთის, თურქმენეთის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტროებთან.

„მოძებნით საყრდენი წერტილი და...“

(დასასრული)

რამ, როგორც ჩანს, მთავარი დამნაშავენი გარეთ დარჩნენ, რადგან არც ერთი სერიოზული დარღვევა საბანკო სფეროში არ გამოუვლენიათ.

სახელმწიფოს მეთაურის დავალებით ჩვენი სამინისტრო დაინტერესდა ამ საქმით. მოკვლეული მასალების საფუძველზე პატიმრობაში ავიყვანეთ ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი. იმისდა მიხედვით, რა რეაქცია გამოიწვია ამ ფაქტმა რიგ პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა შორის, სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს სერიოზულ დარღვევებთან, რომელთა გახსნაც გამოააშკარავებს ყველას, ვინც ქვეყნის ინტერესები საკუთარ ჯიბეს ანაცვალა.

უშიშროების სამსახურს დაევალა შექმნას დამოუკიდებელი ეკონომიკური სამსახური, რომელიც შესძლებს გააკონტროლოს და შეისწავლოს დარღვევები ეკონომიკასა და საკრედიტო სისტემაში, მაგრამ ჯერჯერობით, ამისათვის საკმარისი სახსრები არა გვაქვს. უდავოა, რომ არსებულმა მაფიოზურმა ჯგუფებმა საყრდენი იპოვეს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებშიც და აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც, ამიტომ, მათთან ბრძოლასა და გამოაშკარავებას ხანგრძლივი დრო დასჭირდება. ეს სერიოზული პრობლემაა და მხოლოდ უშიშროების სამსახური მას თავს ვერ გაართმევს.

— არსებობს იმის საშიშროება, რომ საქართველო ნარკოტიკული ნივთიერებების გამტარებელ, ე. ი. სატრანზიტო ქვეყნად იქცეს?

— სამწუხაროდ, ეს პროცესი უკვე მიმდინარეობს და საერთაშორისო ნარკობიზნესი, რომელიც უკანონო იარაღითა და ნარკოტიკული ნივთიერებებით ვაჭრობს, დაინტერესებულია ჩვენი ტერიტორიით. საქმე ის არის, რომ თუ ნარკობიზნესის გზა ადრეულ წლებში სსრ კავშირის გავლით გადიოდა აზიიდან ევროპაზე, ამჯერად მისი მარშრუტი ასეთია: აღმოსავლეთი აზია — პაკისტანი-ავღანეთი-შუა აზია — აზერბაიჯანი — საქართველო. ამიტომ, საქართველომ უყოყმანოდ მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც შავიზღვისპირა ქვეყნების ინიციატივით გაიმართა სტამბულში და ნარკობიზნესსა და ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემებს მიეძღვნა. ამ მიმართულებით მუშაობა ინტენსიურად წარმოებს. ჩემი მოადგილე და სპეცჯგუფი ამჟამად ბუქარესტში იმყოფებიან, სადაც გრძელდება სპეცსამსახურების შეხვედრა და იხვეწება ნარკომაფიასთან ბრძოლის უახლესი საშუალებები და მეთოდები. სხვათა შორის, საქართველოს გავლით ევროპაში უკვე მოხვდა ნარკოტიკების სოლიდური ტვირთი. საზღვრებისა და მკაცრი საბაჟოს უქონლობა, შესაბამისი კანონმდებლობის უქონლობა, ძალზე გვირთულებს მუშაობას.

— ჩვენში გავრცელებულია მოსაზრება, რომელსაც ძალისმიერი სამსახურების მაღალი რანგის მოხელეებიც უჭერენ მხარს, რომ დამოუკიდებლად საქართველოში წესრიგის აღდგენა არ მოხერხდება, ამიტომაც, დამხმარედ გარეშე ძალას უხმობენ.

— მსგავს მოსაზრებას არ ვიზიარებ. საქართველოს უდავოდ შეუძლია დაამყაროს წესრიგი საკუთარ სახლში. ბოლო ხანს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება და აქედან გამომდინარე, მიღწეული დადებითი შედეგებიც ამას მეტყველებს.

უშიშროების სამინისტრო, ისევე, როგორც მისი წინამორბედი — სადაზვერვო-საინფორმაციო ბიურო, მოპოვებული ინფორმაციის სარეალიზაციოდ არ იყო ორიენტირებული. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ჩვენ მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება შეგვიძლია, წესრიგს კი „უცხო ბიძია“ დაგვიმყარებს. ამჟამად სხვა ვითარებაა. უშიშროების სამინისტროს სპეცდანაყოფი, რომელიც უშიშროების სამინისტროს ძალისმიერ სტრუქტურას წარმოადგენს, კარგად გაწვრთნილი, დისციპლინირებული, სპეციალური ოპერაციების მოსაწყობად მომზადებული ახალგაზრდებისაგან შედგება და, ვფიქრობ, ანალოგიური ჯგუფების მომზადება შინაგან საქმეთა სამინისტროშიც შეიძლება. მიმაჩნია, რომ უშიშროების სამინისტროში ამჟამად არსებული ძალისმიერი სტრუქტურები მომავალში სპეციალური ქვედანაყოფების სახით ქართულ საჯარისო ფორმირებებშიც უნდა არსებობდნენ. პროფესიული კადრების სწორად შერჩევა საშუალებას მოგვცემს, ყველა ძალისმიერ სამინისტროში შევქმნათ და მოვამზადოთ ისეთი სპეცდანაყოფები, რომლებიც უმოკლეს ვადაში შესძლებენ ქვეყანაში წესრიგის აღდგენას. ამისათვის მარტო სურვილი არ კმარა. საჭიროა შეიქმნას შესაბამისი კანონმდებლობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სახსრები. მაშინ უკვე სხვისი ხელის შემხედვარე აღარ ვიქნებით, ყველა საკუთარი მკლავის იმედით იმოქმედებს.

— უშიშროების სამსახურის არქივები როდის იხილავენ სინათლეს?

— ხელისუფლების სათავეში გამსახურდიას მოსვლის შემდეგ უშიშროების სამსახურის არქივებისადმი „ინტერესმა“ ყველა ზღვარს გადააჭარბა. უხეშად ირღვეოდა კანონი. მიმაჩნია, რომ ახლა მაინც უნდა შეიქმნას საპარლამენტო კომისია, რომელიც გამოიძიებს, გაარკვევს, თუ როგორ განადგურდა უნიკალური მასალა, რომელიც ათობით წლების განმავლობაში უშიშროების სამსახურში ინახებოდა. ის დოკუმენტები, რომლებიც ხელისუფლებაში მყოფ პირთა საქმიანობას „შეულამაზებლად“ წარმოაჩენდნენ, გაიტანეს და გაანადგურეს. უშიშროების სამსახურის ზოგიერთმა არაკეთილსინდისიერმა მუშაკმა საარქივო მასალა პოლიტიკური კარიერის შესაქმნელად გამოიყენა, იყო მასალის გაყიდვის შემთხვევებიც. მოხდა რიგი სერიოზული დარღვევები, რომლებიც უსათუოდ უნდა გამოვააშკარაოთ.

ამჟამად არქივი კვლავ სავალალო მდგომარეობაშია, არა გვაქვს შესაბამისი სათავსოები და საცავი, რაც უნიკალური მასალების დაცვას უზრუნველყოფს. როგორც ჩანს, ვერ ვაცნობიერებთ, თუ რას წარმოადგენს ქვეყნის უშიშროებისათვის უშიშროების სამსახურის არქივი. საზღვარგარეთის ქვეყნებში არის გამოცდილება, როცა საიდუმლო დოკუმენტებს, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ საზოგადოებრიობისათვის ხელმისაწვდომს ხდიან, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ინფორმაცია სახელმწიფოს ინტერესებს არ შელახავს. დიდ ბრიტანეთში, როცა დოკუმენტების გარკვეული ნაწილის გახსნის დრო მოვიდა, პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი ამის წინააღმდეგ წავიდა და მგონი 30 წლით კიდევ გადასდო ეს ღონისძიება, რადგან არსებული მასალის გამოქვეყნება ქვეყნის ინტერესებს არ შეესაბამებოდა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს არქივებში დაცულმა ზოგიერთმა მასალამ, შესაძლოა საქართველოში სამოქალაქო ომის რეციდივი შექმნას. ამიტომაც საარქივო მასალებს ძალზე ფაქიზად უნდა მოვექცეთ. მინდა თხოვნით მივმართო პარლამენტს: მართალია, ქვეყანაში უამრავი უმწვავესი პრობლემაა გადასაჭრელი, მაგრამ უმოკლეს ვადაში შესამუშავებელი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უშიშროების სამინისტროსა და მთლიანად სახელმწიფო უშიშროების სისტემას ნორმალური საქმიანობის საშუალებას მისცემს. კანონების არსებობა ბევრ საკითხს მოაგვარებს, მათ შორის მკაცრად განისაზღვრება არქივში დაცული მასალების პრობლემაც.

— ბატონო მინისტრო, საზოგადოებრიობა შეშფოთებულია ტერორისტული აქტებით, რომლებიც გარკვეული პიროვნებებისა თუ ფორმირებათა წინააღმდეგ არის მიმართული. აღნიშნავენ რა ჩადენილი დანაშაულის პროფესიულ დონეს, პოლიტიკურ პარტიათა ლიდერები არაორაზროვნად უშიშროების სამსახურებზე მიუთითებენ. ეჭვებს ამ საქმეთა გაუხსნელობაც აძლიერებს...

— გულუბრყვილობაა ფიქრობდე კრიმინოგენული სიტუაციის გაუმჯობესებაზე მაშინ, როცა მოსახლეობაში დიდძალი იარაღი და ასაფეთქებელი მასალაა; საბანკო სისტემაში არსებული ქაოსის ფონზე, ახლა უკანონო სავაჭრო ოპერაციების შედეგად უზომოდ გამდიდრებული ადამიანებისა და მაფიური კლანების თარეშის შედეგებს ვიმკით. მოტყუებული ან გნებავთ „გადაგდებული“ ჯგუფები ერთმანეთს ანგარიშებს უსწორებენ, გავლენის სფეროებს იყოფენ, ხშირად ვერ თანხმდებიან... არაფერი ახალი და განსაკუთრებული საქართველოში არ ხდება, ეს ყოველივე კაპიტალისტური სისტემისათვის დამახასიათებელი ელემენტებია და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკასთან ერთად ჩვენშიც მკვიდრდება.

რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებს, რომლებიც ხშირად მოგზაურობენ საზღვარგარეთ, მათ კარგად მოეხსენებათ, რომ ტერორიზმის პრობლემა მსოფლიო მასშტაბით არსებობს და რიგ ქვეყნებში ეს პრობლემა სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი. ამიტომ უხერხულია უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი ასეთი მარტივი მიდგომა და უშიშროების სამსახურისათვის ხელის შეწმენდა.

ხშირად უშიშროების სამსახურის „უმოქმედობის“ გამო საყვედურსაც გაიგონებთ — არც ერთი ტერორისტული აქტი არ არის გახსნილიო. მზად ვარ კომპეტენტურ კომისიას ჩავაბარო ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. თუ თავის მართლებაში არ ჩამომართმევთ, მინდა რამდენიმე მაგალითი დაგისახელოთ დიდ ბრიტანეთში მომხდარი ტერორისტული აქტების შესახებ. შარშანდელი 20 დეკემბრიდან, წლევანდელ 29 იანვრამდე (ლონდონში), ხოლო ჩრდილოეთ ირლანდიაში შარშანდელი 15 დეკემბრიდან წლევანდელ 4 თებერვლამდე, 20 აფეთქება მოხდა. დაზარალდა შენობები, მეტროპოლიტენი, საცხოვრებელი სახლები, სავაჭრო ცენტრები. მშვიდობიან მოსახლეობაში იყო მსხვერპლი. არც ერთი დანაშაული გახსნილი არ არის! ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ხდება დემოკრატიულ ქვეყანაში, რომელსაც 400-წლიანი საპარლამენტო ტრადიცია აქვს, ჰყავს მსოფლიოში უძლიერესი სამძებრო და სპეცსამსახურები და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი პოლიცია.

ჩვენს პირობებში განსაკუთრებით ძნელია ტერორისტული აქტების გახსნა, რადგან იმის გარდა, რომ არ გვაქვს მუშაობისათვის საჭირო აუცილებელი აღჭურვილობა, საქმეს სხვაგვარადაც გვირთულებენ. კონკრეტულ ფაქტებს დაგისახელებთ: „მხედრიონის“ ხელმძღვანელების ზაზა ვეფხვაძისა და გია სვანაძის მიმართ განხორციელდა ტერორისტული აქცია. შემთხვევის ადგილზე ჩვენი გამომძიებლები არ დაუშვეს; რუსთავში აფეთქების შედეგად დაიღუპა რუსთავის „მხედრიონის“ უფროსი თემურ ტალახაძე. შემთხვევის ადგილი კვლავ გადაკეტილი და ჩვენთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა, მომხდარიდან რამდენიმე საათის გასვლის შემდეგ, შევძელით იქაურობის დათვალიერება, მაგრამ ნამხილი მასალა, თუ სხვა ნივთმტკიცებანი ვეღარ მოვიპოვეთ. იგივე განმეორდა ნიკოლოზ კეკელიძის ბინის აფეთქებისასაც. შემთხვევის ადგილზე უშიშროების სამსახურის თანამშრომლები მხოლოდ მას შემდეგ დაუშვეს, როცა მეორე აფეთქება მოხდა (ამ დროს შემთხვევის ადგილს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა ათვალიერებდა). მომხდარი ტერორისტული აქტის შემდეგ 12 საათის დაგვიანებით შევუდექით სამუშაოს. ნივთმტკიცებანი, რა თქმა უნდა, კვლავ განადგურებული დაგვხვდა, შემთხვევის ადგილი — გაწმენდილი.

ზემოთ ჩამოთვლილი თუ სხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების მიუხედავად, ამ დანაშაულებათა უმეტესი ნაწილი გახსნის პროცესშია. ამაზე მეტის თქმის უფლება ჯერჯერობით არა მაქვს, მაგრამ იმედია გამოძიება დასრულდება და დამნაშავენი სასამართლოს წინაშე წარსდგებიან. ამიტომაც, პრეტენზიების წამოყენება შეიძლება, ოღონდ მათ საფუძველი უნდა ჰქონდეთ. ნებისმიერ კრიტიკას ვიღებთ, მაგრამ დაუმსახურებელს არ მიიღებს არა მარტო უშიშროების სამინისტრო, არამედ არც ერთი თავმოყვარე პროფესიონალი.

— ბატონო მინისტრო, რამდენად შესაძლებელია ტერორისტული აქტის პროგნოზირება?

— ტერორისტული აქციების მიმართულების პროგნოზირება შესაძლებელია, მაგრამ მიმაჩნია, რომ მსგავსი პროგნოზები არასახარბიელო, არაკეთილშობილური და უმადური საქმიანობაა. ამასთანავე, მეტად სახიფათოც, რადგან მოწინააღმდეგე მხარემ შესაძლოა ბოროტად გამოიყენოს ეს პროგნოზები.

შესაძლებელია მსგავსი აქციების გაგრძელებაც. ჩვენთვის ცნობილი არიან მაღალი თანამდებობის პირები, რომლებმაც ომის დროს უზარმაზარი ქონება დააგროვეს. მოსალოდნელია, რომ ისინი გავლენის სფეროებს გადაინაწილებენ, რაც ძალისმიერი მეთოდების გამოყენებასაც არ გამორიცხავს. დარწმუნებული ვარ, ის პიროვნებები, რომლებიც რამდენიმე დღის განმავლობაში მშიერ-მწყურვალი ჰყავდათ გამომწყვდეული „სეიფებში“, აუცილებლად შეეცდებიან სამაგიერო გადაუხადონ მოწინააღმდეგეს. დიახ, [illegible] რომ მეორე მხარე [illegible] გამოსავალი, [illegible] და, ძალისმიერი მეთოდებით შეეცდება დაიბრუნოს უზარმაზარი თანხები. ურთიერთობის გარკვევისას სისხლისღვრას არც ერთი მხარე არ მოერიდება.

— იქნებ ტერორისტულ აქტებს პოლიტიკური მოტივები უდევს საფუძვლად?

— არც ეს არის გამორიცხული, რადგან იყო შემთხვევები, როცა ტერორისტული აქციები სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ განხორციელდა. აფეთქეს ზოგიერთი მათგანის შტაბბინა, შენობები დაზიანდა, მსხვერპლი არ ყოფილა, თუმცა შესაძლოა ეს ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით მოხდა. სხვათა შორის, პოლიტიკური ბრძოლა ტერორისტულ მეთოდებსაც ითვალისწინებს. არაცივილიზებულ საზოგადოებაში, რასაკვირველია.

არაერთხელ მითქვამს და კვლავ დაბეჯითებით ვიმეორებ: იმისათვის, რომ ქვეყანაში წესრიგი დამყარდეს, კრიმინალური ბანდების თარეში აღიკვეთოს, აუცილებელია ძალისმიერი სამინისტროების უახლესი ტექნიკით აღჭურვისა და სპეციალისტების მომზადებისათვის სახელმწიფომ სოლიდური თანხები გაიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანარქიასა და განუკითხაობას ვერავინ აღკვეთავს. უცხოელი პარტნიორების ჩაურთველად, რომლებიც სწორედ კრიმინოგენული სიტუაციის გამო თავს იკავებენ ინვესტიციების დაბანდებაზე, ეკონომიკას ვერ გამოვაცოცხლებთ.

ამიტომაც თხოვნით მივმართავ სახელმწიფოს მეთაურს, პარლამენტს, მთავრობას, რესპუბლიკის მოსახლეობას, დაუყოვნებლივ, სასწრაფოდ, გაიღონ საჭირო თანხები უშიშროების სამინისტროს გასაძლიერებლად.

ჩვენი ხსნა ჩვენს ხელშია!

მინისტრს ესაუბრა
დავით გველესიანი.

სამართალმა პური ჭამოს!

აი, რამ დაგვამარცხა!

გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სამხედრო პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ რეგიონების სამხედრო პროკურორები და გამომძიებლები, აპარატის თანამშრომლები, მასობრივი ინფორმაციის ორგანოების წარმომადგენლები.

კოლეგიამ განიხილა საკითხი „აფხაზეთში დამარცხების მიზეზების გამოსაკვლევად აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ“. მომხსენებლებმა და კამათის მონაწილეებმაც თქვეს, რომ საგამოძიებო ჯგუფმა ჯეროვანი ღონისძიებები განახორციელა აფხაზეთში საქართველოს შეიარაღებული ძალების დამარცხების მიზეზების დასადგენად. უკვე დაკითხულია ხუთასზე მეტი მოწმე, მოძიებულია და საქმეს ერთვის გამოძიებისათვის საინტერესო ბევრი დოკუმენტი და მასალა. ისინი მოწმობენ, რომ დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ქართულ ჯარში გამეფებული უპასუხისმგებლობა და დაუდევრობა, ქაოსი და განუკითხაობა, უდისციპლინობა და უწესრიგობა, სამხედრო მეთაურთა უვიცობა და დანაშაულებრივი უმოქმედობა, ბრძანების შეუსრულებლობა, ურჩობა, საბრძოლო პოზიციების თვითნებურად მიტოვება, დეზერტირობა, სურსათის, საბრძოლო იარაღისა და მასალების დატაცება, უმიზნო ხარჯვა.

გამოძიების დასაწყისში სამხედრო პროკურორები და გამომძიებლები სერიოზულ სირთულეებს წააწყდნენ. ზოგიერთი სამხედრო მოსამსახურე თავს არიდებდა პროკურატურაში გამოცხადებას, ჩვენებას არ აძლევდა და საჭირო დოკუმენტებს მალავდა, რაც მაშინვე მოხსენდა რესპუბლიკის პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას. სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 26 ოქტომბრის განკარგულებით თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრებს დაევალა გამოეცათ სპეციალური ბრძანებები და დაევალებინათ მათ დაქვემდებარებაში მყოფი მოსამსახურეებისათვის სამხედრო პროკურატურის ყველა კანონიერი მოთხოვნის შესრულება. ამავე განკარგულებით მინისტრთა კაბინეტს დაევალა ერთი თვის ვადაში განეხილა სამხედრო პროკურატურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხი და ქმედითი ღონისძიებები განეხორციელებინა მისთვის ნორმალური სამუშაო პირობების შესაქმნელად. ამ განკარგულების არცერთი პუნქტი დღემდე არ შესრულებულა. შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრებს ასეთი ბრძანება საერთოდ არ გამოუციათ. ხოლო ამ საკითხზე თავდაცვის მინისტრის 1993 წლის 2 ნოემბრის ბრძანება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. არაერთი თხოვნისა და გაფრთხილების მიუხედავად გენერლები ნიკოლაიშვილი, ყურაშვილი, დათუაშვილი, გურგენიძე, ჟიჩაძე, თავაძე, ჩიქოვანი და სხვა მაღალი რანგის სამხედრო ხელმძღვანელები სამხედრო პროკურატურაში არ ცხადდებიან, უარს ამბობენ ჩვენების მიცემაზე და თვლიან, რომ ამ საქმის გამოძიება არის მათი საბრძოლო დამსახურების შეურაცხყოფა.

მინისტრთა კაბინეტმა კი თითქმის ოთხი თვის შემდეგ, 1994 წლის 14 თებერვალს გამოიტანა დადგენილება და სამხედრო პროკურატურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხის მოგვარება თავდაცვის სამინისტროს დაავალა. თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ თავდაცვის სამინისტროს ამ დავალების შესასრულებლად არაფერი გაუკეთებია და, ეტყობა, არც აპირებს რაიმეს გაკეთებას.

კოლეგიამ რეგიონულ სამხედრო პროკურორებს დაავალა ერთი თვის ვადაში დაამთავრონ აფხაზეთის ომში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეთა და სხვა პირთა დაკითხვა, მოიძიონ საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები და მასალები. ამ საქმის გამოძიებაში მონაწილეობა მიიჩნიონ უმნიშვნელოვანეს სამსახურებრივ დავალებად.

ფინანსთა სამინისტროსა და სახელმწიფო კონტროლის პალატის წინაშე დაისვა საკითხი გამოყონ 5-5 სპეციალისტი თავდაცვის სამინისტროში საფინანსო დოკუმენტური რევიზიის ჩასატარებლად.

საჭიროდ იქნა მიჩნეული სახელმწიფოს მეთაურს მოხსენდეს აფხაზეთის საქმის გამოძიებისა და სამხედრო პროკურატურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 26 ოქტომბრის განკარგულების შესრულების მდგომარეობა.

განიხილეს სხვა საკითხებიც.

კოლეგიის მუშაობა შეაჯამა რესპუბლიკის მთავარმა სამხედრო პროკურორმა, იუსტიციის გენერალმა ბატონმა ალექსანდრე შუშანაშვილმა.

მთავარი სამხედრო პროკურატურის პრესცენტრი.

ინფორმაცია-94

გვეხმარებიან ამერიკიდან

ოდითგანვე ასე ყოფილა: ქართველის გასაჭირი პირველად ყოველთვის ქართველს მიუტანია გულთან. ამერიკაში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ ბატონმა დავით სიგუამ კალიფორნიის შტატში შექმნა საქართველოს დახმარების ფონდი „ჯორჯიენ ფონდეიშენ“.

ფონდი, რომლის პრეზიდენტი თვითონ დავით სიგუაა, 1993 წელს შეიქმნა, მაგრამ ამ მცირე დროის მონაკვეთშიც ბევრი რამ გაკეთდა საქართველოს სასარგებლოდ: გამოგზავნეს მედიკამენტებით სავსე ლაინერები. ამჯერად, ზუგდიდელმა დიაბეტით დაავადებულებმა მიიღეს „ჯორჯიენ ფონდეიშენის“ ეგიდით საქართველოში გამოგზავნილი წამლები.

ზუგდიდელ და აფხაზეთიდან დევნილი დიაბეტით დაავადებულებს ამერიკელი თანამემამულის გამოგზავნილი მედიკამენტები გადასცა საწარმოო გაერთიანება „ფარმაციის“ გენერალურმა დირექტორმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ელგუჯა დარასელიამ.

მედიკამენტების გადაცემის ცერემონიალზე ითქვა, რომ ამ საქველმოქმედო საქმეს განსაკუთრებით უწყობენ ხელს ამერიკაში შექმნილი საქართველოს დახმარების ფონდის უშუალო მასპინძელი თბილისში ექიმი ნელი ჯავახიშვილი და ზუგდიდელი ინჟინერი ვახტანგ ცხადაია.

ვახტანგ ცხადაიამ საკუთარი ინიციატივითა და სახსრებით ჩამოიტანა ასეთი ძვირადღირებული ტვირთი ზუგდიდში.

ოდიკ ქუხილავა,
„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ. კორ.

მიზეზების ძიებაში

სენაკის რაიონის ყველა სამრეწველო ობიექტი პრაქტიკულად უმოქმედოდ არის. რაიონს არ აწვდიან ელექტროენერგიას და ბუნებრივ გაზს. მდგომარეობა განსაკუთრებით გამწვავდა უკანასკნელ ხანს: არ ცხვება პური, მოსახლეობა ვერ ღებულობს ტელე-რადიო გადაცემებს.

რა მოხდა? ზამთრისთვის ელექტროენერგიის მოსალოდნელი დეფიციტი თითქოსდა ადრევე იყო ცნობილი. ამ საკითხზე შარშანდელი წლის დეკემბერში სენაკში ჩატარდა სამთავრობო თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ზურაბ კერვალიშვილი, „საქენერგოს“ დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ომარ ზილაძე და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები. არსებული ენერგორესურსების გათვალისწინებით განისაზღვრა და დამტკიცდა რაიონებისათვის ელექტროენერგიის მიწოდების ლიმიტი.

პირველ ხანებში რაიონი შეფერხებით, მაგრამ მაინც ღებულობდა ელექტროენერგიას. ორ კვირაზე მეტია, რაც მდგომარეობა საგანგაშო გახდა, ფაქტობრივად სენაკის რაიონი დღეღამის განმავლობაში არ ღებულობს ელექტროენერგიას.

როგორც სენაკის ელექტროქსელების სამმართველოს ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, (სამმართველოს უფროსი ვაჟა ბაჩილავა, მთავარი ინჟინერი სულიკო გლახოშვილი, სადისპეტჩერო სამსახურის უფროსი ნუგზარ ჩემია) რაიონი ენერგოსისტემიდან ლიმიტით გამოყოფილი ენერგიის ნახევარსაც არ ღებულობს. მინჯის ქვესადგურს ხშირად საერთოდ არ აწვდიან ელექტროენერგიას.

სენაკის ელქსელის ხელმძღვანელობა, ოპერატიული პერსონალი ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკით დადგენილი რეჟიმის დარღვევისთანავე აყენებს საკითხს „საქენერგოს“ ხელმძღვანელობის წინაშე. შექმნილ მდგომარეობას უმთავრესად ხსნიან გაზის მიწოდების შემცირებით, წყლის სიმცირის გამო ენგურჰესის მუშაობის შეფერხებით.

მიზეზების ძებნა მდგომარეობას ვერ შეცვლის. რა ქნას მოსახლეობამ, ამ რეგიონში შეხიზნულმა დევნილებმა, რომლებიც სახელდახელო „ბინებს“ შეფარებულნი ელექტროღუმელების იმედითღა არიან.

იოსებ გოგეჩია,
„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ. კორ.

სულ ერთი თაობის თვალწინ ჩვენმა ქვეყანამ შესამჩნევი ეკოლოგიური ცვლილებები განიცადა, თუმცა უნდა ითქვას, რომ არც წინა თაობები იჩენდნენ ჯეროვან მზრუნველობას ბუნებისადმი, მაგრამ ბოლო ხანს მკვეთრად გაუარესდა ეკოლოგიური პირობები. ხშირად უვარგისი ხდება წყალი, ჰაერი, საკვები პროდუქტები. თანამედროვეობის ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის მოგვარება სერიოზულ წინააღმდეგობებს აწყდება.

ეკოლოგია და ჩვენ

მხოლოდ განსჯითა და ანალიზით

ცნობილია, რომ ეკოლოგიურ მდგომარეობას ხშირად აუარესებს ბუნების დაცვის ღონისძიებათა საშუალებების უკმარისობა, სოციალურად კონფლიქტური სიტუაციები, სხვადასხვა წინააღმდეგობები, რაც თან ახლავს ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტას, ანუ ეკონომიკური, ტექნიკური, სოციალური და სხვა საკითხები.

მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ერთის მხრივ, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მრავალწახნაგა, განსაკუთრებულად რთულ პრობლემას, ხოლო მეორე მხრივ ეკოლოგიური დარღვევების წინააღმდეგ მიმართავენ ბრძოლის მეტისმეტად მკაცრ მეთოდებს, რითაც ხელყოფენ ადამიანის, როგორც იტყვიან — ბუნების მეფის ინტერესებს, ე. ი. იმის ინტერესებს, ვისთვისაც არის ნავარაუდევი ეკოლოგიური კომფორტის შექმნა.

წლების მანძილზე მივიწყებული იყო ეს მართლაც სასიცოცხლო პრობლემა, შემდეგ კი ეკოლოგიის დაცვა დავიწყეთ არა თანდათანობითი აკრძალვით, არამედ ნახტომისებურად, რევოლუციურად და, როგორც ყოველ რევოლუციას, ამასაც შეუძლებელია არ მოჰყოლოდა დიდი დანაკარგები. ამის გამო საქართველოს მრავალი რაიონი ენერგიისა და სურსათის მკვეთრ უკმარისობას განიცდის. ცნობილია, რომ საქართველოში, ისევე როგორც სხვა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, მრავალი წლის მანძილზე ენერგორესურსების დიდი დეფიციტი იყო. ნორმალური ფუნქციონირებისათვის სხვადასხვა“ საწარმოებს, სოფლის მეურნეობის ობიექტებსა და სხვას ენერგიის გარკვეული მარაგი სჭირდება. ბოლო წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს მარაგი შეადგენს 27, საფრანგეთში — 12 პროცენტს და ა. შ.

უმადურობა იქნებოდა, განსაკუთრებით არ აღვნიშნა ის ძალისხმევა, რაც ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა და ცალკეულმა პირებმა გამოიჩინეს ეკოლოგიური ვითარების გაუარესების წინააღმდეგ, ბუნებრივი თუ ტექნოგენური კატასტროფების თავიდან ასაცილებლად, გარემოს გაჯანსაღებისათვის (აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მწვანე ნარგავების ხელყოფის, ზესტაფონის შემოგარენის დაცვის, შავი ზღვის გაჭუჭყიანების, ეროზიისა და სხვა საკითხების პრინციპული დაყენება).

მაგრამ არც იმის მიჩუმათება შეიძლება, რომ ზოგიერთმა ხელმძღვანელმა ვერ გაუძლო საზოგადოების ერთი ნაწილის „შემოტევას“ და, ეკოლოგიური ზიანის მომიზეზებით, მიიღო გადაწყვეტილებები ისეთი ობიექტების აკრძალვის შესახებ, რომელთა უქონლობა მომავალში კი არა, უკვე ახლაც ენერგორესურსების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მკვეთრ შემცირებას, ადამიანთა ცხოვრების პირობების მნიშვნელოვან გაუარესებას იწვევს.

ახლო წარსულში, ეკოლოგიის პრობლემებთან დაკავშირებული გაუგებრობის ძირითად მიზეზად უნდა მივიჩნიოთ არასწორი ინფორმაცია, დამყარებული პოპულარულ ლიტერატურულ წყაროებზე, რომლებიც, უნდა ითქვას, არც ისე იშვიათად, სცოდავენ სინამდვილის წინაშე. ხშირად სუპერდიდი ობიექტების — გარემოზე გავლენის სტერეოტიპები გადმოჰქონდათ იმ ობიექტებზე, რომლებიც თავიანთი მასშტაბებითა და ნეგატიური შედეგებით შეუდარებლად მცირე იყო და არსებითად განსხვავდებოდა სოციალური, ეკონომიკური, ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით. ასეთი გაიგივება ძალზე ამახინჯებდა სურათს, თუმცა საკმაოდ მაღალ ეკოლოგიურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა და ეკოლოგიური პირობების გამკაცრებას მოითხოვდა. მაგრამ გადამეტებულ გამკაცრებასაც აქვს საზღვარი! ყველასათვის ცნობილია, რომ თუ წამალს ბოროტად გამოვიყენებთ, შეიძლება ის საწამლავად იქცეს.

მსოფლიოსა და საკუთარი გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ ბუნების დაცვის მოტივით წყალსამეურნეო, მელიორაციული ობიექტებისა და ჰიდროელექტროსადგურების აშენებაზე მეცნიერულად დაუსაბუთებელი ხელის აღება ხშირ შემთხვევაში ზიანს აყენებს არა მარტო ადამიანებს, არამედ თვით დედაბუნებასაც: ენერგიის უკმარისობის გამო იჩეხება ტყეები, ეროვნული პარკები; მაცოცხლებელი ტენის უკმარისობის გამო მკვეთრად კლებულობს მოსავლიანობა და ფუჭად იხარჯება გლეხკაცის შრომა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დეფიციტის შესავსებად, ახალი სავარგულების მოსაწყობად იკაფება ბუჩქნარები, იწყება ეროზია.

დასამალი არ არის, რომ გარემოს დაცვის სპეციალისტები, პროფესიონალებიც კი ხშირად, რბილად რომ ვთქვათ, არასაკმარისი პრინციპულობით ეკიდებოდნენ ასეთი მკაცრი გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო ფართო საზოგადოებრიობა (ზოგჯერ ისინიც კი, ვინც დაბეჯითებით მოითხოვდა ზემოთ ხსენებული ობიექტების აკრძალვას), არ იყო სათანადოდ ინფორმირებული, თუ რა ნეგატიურ შედეგს გამოიღებდა ეს აკრძალვა ახლო და შორეულ მომავალში. ამ ბოლო წინა ორმა ზამთარმა ნაწილობრივ უკვე გამოამზეურა. დაშვებული შეცდომები, მომავალი ზამთარიც არანაკლებ მკაცრ გამოცდებს გვიქადის, თუ დროზე არ გადაიდგა ნაბიჯი მდგომარეობის მკვეთრი გამოსწორებისათვის.

ამრიგად, გარემოს დაცვის საკითხების გადაწყვეტისას არ შეიძლება მხოლოდ ემოციებს ავყვეთ. დაუსაბუთებელ აკრძალვებს, თუნდაც ისინი ბუნების დაცვის კეთილშობილი სურვილით იყოს ნაკარნახევი, შეიძლება უმძიმესი შედეგები მოჰყვეს.

არის შეცდომები, რომლებსაც ბუნება არ გვაპატიებს. ამიტომ მხოლოდ მკაცრი ეკოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორების, სოციალური ვითარების შეჯერებული ანალიზის შემდეგ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ საზღვარგარეთის გამოცდილება, ასევე თანამედროვე კვლევის, კომპლექსური ექსპერტიზის ყველა ხელმისაწვდომი მეთოდი, საზოგადოების ფართო ფენების უშუალო მონაწილეობით. გადაწყვეტილების მიღების დროს შეიძლება რისკზეც წავიდეთ. ცხადია, მხოლოდ დასაშვებ რისკზე. განა ყოველწუთიერად რისკს არ ვწევთ, თუნდაც მაშინ, როცა საკუთარ სახლში ვიმყოფებით? ამ შემთხვევაშიც, მაგალითად, თვითმფრინავის სახლზე დაცემის რისკი ნულის ტოლი სულაც არ გახლავთ და არც ისე მეტისმეტად მცირეა, როგორც პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს! ის წელიწადში საშუალოდ ჰექტარზე მემილიონედის ტოლია. მაგრამ ამის გამო ჩვენ ხომ არ ვამბობთ უარს სახლში ცხოვრებაზე და არ ვკრძალავთ თვითმფრინავებს, ასევე ავტომობილებსაც (სხვათა შორის, მანქანით მგზავრობისას რისკი გაცილებით დიდია, ვიდრე თვითმფრინავით ფრენისას).

როცა ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხს განვიხილავთ, აუცილებლად უნდა გავაანალიზოთ ვარიანტები. მეტისმეტი უსაფრთხო ობიექტის შექმნის ნაცვლად (ხაზს ვუსვამ — მეტისმეტი, რომელიც დიდ თანხებს მოითხოვს და არა — აუცილებელი), ამ საშუალებების გამოყენებით უნდა აშენდეს სასიცოცხლო ინფრასტრუქტურის ობიექტები, გამაჯანსაღებელი კომპლექსები, რეკრეაციული ზონები, დასასვენებელი სახლები და სხვა, რომლებიც მოსახლეობის გაჯანსაღებას, ცხოვრების დონის ამაღლებას მოემსახურება.

არსებობს შეხედულება, თითქოს სიცოცხლის უზრუნველმყოფელი ობიექტები, ინფრასტრუქტურების, გამაჯანსაღებელი კომპლექსების მშენებლობის შეზღუდვას ნაკლები ზიანი მოაქვს მოსახლეობისთვის, ვიდრე ეკოლოგიურ დარღვევებს. მაგრამ ეს არ არის სწორი. ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემები, ენერგიით უზრუნველყოფა, სურსათსანოვაგე, სოციალური საკითხები, ცხოვრების დონის ზრდა, — ეს ყოველივე ერთმანეთს უკავშირდება მხოლოდ რეგიონებში კი არა, მთელ ქვეყანაშიც. ამიტომ ყოვლად გაუმართლებელია ცალკეული პრობლემის ლოკალური გადაწყვეტა. აუცილებელია მთლიანობაში, ერთდროულად მოხდეს პრობლემების განხილვა-გადაწყვეტა.

ასე რომ, ეკოლოგიური სისტემის ფუნქციონირების ანალიზის დროს ერთდროულად უნდა განვიხილოთ როგორც ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხი, ასევე საზოგადოების, ცალკეული მოქალაქის, რეგიონული დასახლების, დაწესებულების, ორგანიზაციების, სამინისტროების, უწყებებისა და მთლიანად სახელმწიფოს ინტერესები. ხშირად ასე ხდება: ერთი ამ ჯგუფთაგანი, ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის საბაბით, უარს აცხადებს ახალი ობიექტების მშენებლობაზე. მეორე კი ამ საკითხის გადაწყვეტისას ითვალისწინებს გონივრულ ზღვრებში ზიანის დაშვებას (რასაც ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა იწვევს) და ამგვარი მიდგომით დაზოგილ სახსრებს ხმარს მოსახლეობის, ადამიანთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში არასგზით არ უნდა გადაილახოს ზღვარი, რომელიც გამოიწვევს გარემოს ან ბუნებრივი ეკოსისტემის, ცალკეული ბიოლოგიური სახეობის დაკნინებას, ხოლო ზოგჯერ — მთლიანად სისტემის განადგურებას. ცხადია, უნდა გამოირიცხოს ადამიანთა მსხვერპლი.

საღმა, მეცნიერულად დასაბუთებულმა მიდგომამ, „აკრძალვის“ ნაცვლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოგვცეს საშუალება, რომ ძირითადად შეიცვალოს რესურსების განაწილების სტრუქტურა იმ ღონისძიებებს შორის, რომელთა დანიშნულებაა სიცოცხლის უზრუნველყოფის ობიექტებისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების დონის ამაღლება, განხორციელდეს ისე, რომ ამ ობიექტებმა მოცემულ რეგიონში პოზიტიურად შეცვალოს მოსახლეობის ცხოვრების დონე.

ზოგჯერ ისეთ სიტუაციაში ვხვდებით, როცა არ არსებობს სახიფათო ობიექტების შექმნის ალტერნატივა. გვინდა თუ არ გვინდა, უნდა დავეთანხმოთ ობიექტურ რეალობას, რადგანაც სხვა გამოსავალი არა გვაქვს. ამის მაგალითია რუსეთის, ლიტვის, სომხეთის მთავრობათა გადაწყვეტილებანი ჩერნობილის ტრაგედიის შემდეგ შეჩერებული ატომური ელექტროსადგურების ამოქმედების შესახებ. რასაკვირველია, ეს გარკვეული რისკის დაშვებაა მოსახლეობის სასიცოცხლო პირობების გაუმჯობესების მიზნით. ცნობილია, რომ ენერგიის მკვეთრი დეფიციტის გამო, ამ რეგიონებში იმატა დაავადებებმა, მოსახლეობა შიმშილისა და სიღატაკის ზღვრამდე მივიდა.

მეორე მაგალითი: შავი ზღვის დაჭუჭყიანების საკითხი. ცნობილია, რომ ნივთიერებათა თითქმის 85 პროცენტი, რომლებიც აჭუჭყიანებს შავ ზღვას, შემოდის მიმდებარე ქვეყნების დიდი და პატარა მდინარეებიდან, რომელთა უმრავლესობას არ გააჩნია ელემენტარული წყალგამწმენდი ნაგებობა. მდინარეებში ხვდება უზომოდ გამოყენებული ქიმიური სასუქი, შხამქიმიკატები და სხვა მავნე ნივთიერებანი. სხვათა შორის, შხამქიმიკატები, რომლებიც ამ მდინარეთა წყალშემკრებ ფართობებზე გროვდება, თავისი ბუნებით უახლოვდება იმ ნივთიერებებს, ამერიკელები რომ იყენებდნენ ვიეტნამის წინააღმდეგ ე. წ. ეკოლოგიური ომის დროს.

იმ დიდი ზიანის მიუხედავად, გარემოს ქიმიზაცია რომ აყენებს, ჩვენ — ისე, როგორც ბევრი ქვეყანა, იძულებული ვართ შევურიგდეთ მათ გამოყენებას, რადგან, სამწუხაროდ, ჯერჯერობით სხვა გამოსავალი არ არის. ეს ქიმიკატები უხვი მოსავლის მიღების საშუალებას იძლევა, მისი აკრძალვა კი გამოიწვევს შიმშილს, ეკოლოგიურ კრიზისს დღეს თუ არა, ხვალ.

განვითარებული ქვეყნების ეკოლოგიზაციის გამოცდილება დამაჯერებლად გვიჩვენებს: ზოგიერთ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტზე უარის თქმა შეუძლიათ მხოლოდ ისეთ სახელმწიფოებს, რომლებმაც უკვე მოაგვარეს მოსახლეობის სურსათით, ენერგორესურსებით, ინფრასტრუქტურების ობიექტებით უზრუნველყოფის პრობლემა. ამრიგად, იმისათვის, რომ გავცეთ პასუხი — შევქმნათ თუ არა ესა თუ ის ობიექტი, რომელსაც შეუძლია გარემოს ზიანი მიაყენოს, აუცილებელია ერთხელ კი არა, ასჯერ გავზომოთ, განვსაჯოთ და მერე გადავწყვიტოთ საკითხი მისი განხორციელებისა თუ აკრძალვის შესახებ.

ეკოლოგიზაციისადმი მხოლოდ ასეთი მიდგომა მოგვიტანს სასურველ შედეგს, არ დააზიანებს დედაბუნებას, ეკონომიკას და, რაც მთავარია, — ადამიანს.

ცოტნე მირცხულავა,
აკადემიკოსი.

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ თავდაცვის ფონდში.

ფირმა ჰყიდის მზესუმზირის ზეთის გამოსახდელ მინი ქარხანას (დამზადებულია გერმანული ლიცენზიით) მთლიანი ტექნოლოგიური ციკლით. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 30-23-97, 30-17-08, 36-23-39

თუ განუხებთ თირკმლის, ნაღვლის, და შარდის ბუშტის ანთება, კენჭოვანი დაავადებანი, ქრონიკული ჰეპატიტები, გასტრიტი, კოლიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, გაციებით გამოწვეული ასთმა, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, მარილების დაგროვება, ვეგეტონერვოზი და სხვადასხვა სახის ქავილები, სოკოვან დაავადებათა ზოგიერთი ფორმები, აგრეთვე თუ ბავშვებს აქვთ უნებლიე შარდვა, მიაკითხეთ ცნობილ ექიმ-ფიტოთერაპევტ იური (გიორგი) ბურდილაძეს (ონელს). მისი მცენარეული წამლები უებარია.

„ფირმა ბურდილაძე“ ავადმყოფებს ღებულობს ყოველდღე, გარდა ორშაბათისა 11-დან 18 საათამდე.

მისამართი:
სააკაძის 46 (მეტრო «ნაძალადევთან»).
ტელეფონი: 66-67-93.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხედულება

ჩანს, ძალზე მძიმეა ილია ჭავჭავაძეობის ტვირთი

აკაკი ბაქრაძის პოლიტიკური პორტრეტისათვის

უკანასკნელი წლების მანძილზე ძალიან მედგრად ბრძოლეთ ცენზურის დასაძლევად, ცენზორთა გადასა- ნელად, მაგრამ ჩვენი ბრძოლა ყოველთვის, როგორც მიმართული იყო და არის გარეშე ცენზორის წინა- ღმდეგ, შინაგან ცენზორს ნაკლებად ვებრძვით, თუმცა, აზრით, უკანასკნელს პირველზე გაცილებით მეტი მოაქვს, გაცილებით მეტად აფერხებს აზრის თა- ფალ განვითარებას, რადგან უფრო მახვილი თვალი

ფიქრდეთ, რამდენ უბედურებას აიცილებდა საქარ- ლო, ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგე- ამ 3-5 წლის წინ რომ დაეძლიათ ყოველ მათგან- ბუდარი ცენზორის გააფთრებული წინააღმდეგობა ეთქვათ იმხანად პატრიოტული ლოზუნგებით აგორე- გამანადგურებელ პროცესებზე და მათ ამგორებ- ზე ის, რასაც დღეს, მადლობა ღმერთს, უკვე ამბო- ნ.

ჩვენი საზოგადოებრიობის მოაზროვნე ნაწილი განა იმ- 3-5 წლის წინათ ვერ ხედავდა, რომ ეროვნულ- განმათავისუფლებლად წოდებული მოძრაობა სინამდვილე- ეროვნულ-გამანადგურებელი იყო? ხედავდა! ვხედავ- მაგრამ თქმას ვერ ვბედავდით. და არა იმდენად გარემოებათა გამო, რამდენადაც შინაგანი ცენზო- შიშით; გვიძნელდებოდა იმხანად ძალიან მოდური ლ-პატრიოტული შეხედულებებისა და საქმიანობის ტიკა.

კაცი ესოდენ, დიდად აზარალებს საერთო საქმეს შინა- ცენზორი, ვეცდები მის სრულ იგნორირებას და ჭვე- აბსოლუტურად გულახდილად დავხატავ პოლიტი- პორტრეტს კაცისა, რომელსაც, ჩემი ღრმა რწმენით, დაეკისრის ერთ-ერთი უმთავრესი პასუხისმგებლო- ამ საშინელი ამბებისათვის, რაც საქართველოში უკა- წლების მანძილზე მოხდა.

ეს კაცი გახლავთ ბატონი აკაკი ბაქრაძე.

დოს, ჩვენი ერის ბოლოდროინდელი ძნელბედობა მნი- ვნელოვანწილად განაპირობა აკაკი ბაქრაძის პოლიტი- პოზიციის არათანამიმდევრულობამ და არაპრინცი- პულობამ, მისმა მუდმივმა გაუჩინარებამ საზოგადოებრი- ცხოვრების ასპარეზიდან ყველა კრიზისული სიტუაცი- გამო, თუმცა თვით ეს კრიზისები ხშირად სწორედ ბატონ აკ. ბაქრაძის აუწონ-აუწონელი და აშკარად ეტრემისტული მოწოდებებით იყო გაპირობებული.

პირველ ყოვლისა ვიტყვი, რომ სრულიადაც არ ვაპირებ აკაკი ბაქრაძის პორტრეტის დახატვას მხოლოდ შავი ფერებით. ამ კაცს აქვს უდავო დამსა- ურება, რასაც ვერავინ დაუკარგავს. სამოცდაათიანი წლე- მეორე ნახევარსა და ოთხმოციანთა პირველ ნახევარ- იგი მოგვევლინა ანტიკომუნისტური მოძრაობის ერთ- ლიდერად. აკ. ბაქრაძის მთავარი თვისება, ჩემის აზ- იყო მისი გამბედაობა. და რაკი ბუნებამ უხვად დაჯილდოვა ორატორული და პუბლიცისტური ნიჭით, გასაგე- რომ მისი წიგნები და სტატიები, ლექციები და სხვა საჯარო გამოსვლები მთელი ათწლეულის მან- ძალიან პოპულარული იყო.

ბატონ აკ. ბაქრაძეში ხალხი ხედავდა ჩვენი ანტიიმპე- რიული მოძრაობის მთავარ თეორეტიკოსს და გასაგებია, რომ „პერესტროიკის" დაწყების შემდეგ, როცა თანდათან გამოიკვეთა ე. წ. ეროვნული მოძრაობის წმინდა დესტ- რუქციული სახეთ, როცა ამ მოძრაობამ იწყო ნეობოლ- შევიზმის მიმართულებით გადაგვარება, როცა სრულიად ცხადი გახდა ახალი „ეროვნული ლიდერების" სრული თეორიული სიბერწე, ხალხმა (და მათ შორის, ვაღია- ამ სტრიქონების ავტორმაც) თვალი მიაპყრო ბატონ აკაკი ბაქრაძეს. ხალხი ელოდა, რომ აკაკი ბაქრაძე ამხელ- და დესტრუქციონიზმს, რომ იგი პრინციპულად დაუპი- რისპირდებოდა ნეობოლშევიზმს და ნეოტოტალიტარიზმს, რომ იგი შემოგვთავაზებდა ბრძნულ თეორიებს, შექმნი- და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის კონცეფცი- ერთიან მცნებას.

სამწუხაროდ აკ. ბაქრაძისგან ვერც ერთს ვეღირსეთ, ვერც მეორეს და ვერც მესამეს. პირიქით, კაცმა, რომელ- საც ილიასაც კი ადარებდნენ (კვლავ ვაღიარებ, ვადარებ- დით) სწორედ დესტრუქციულ, გამანადგურებელ ძალთა წისქვილზე მიუშვა წყალი. ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით.

ყოველივე აღნიშნულის გამო, ხალხში, განსაკუთრებით ინტელექტუალურ წრეებში აკაკი ბაქრაძის ავტორიტე- მეტისმეტად დაეცა. იმდენად დაეცა, რომ ამის არ- ნიშვნასა და არაღნიშვნას ველარც „ბაქრაძისტები" ახერ- ხებენ და ველარც თვითონ აკ. ბაქრაძე. ასე, მაგალითად, გაზ. „თემის" ა. წ. მეორე ნომერში პირველსავე გვერდზე დაბეჭდილია ინტერვიუ ჩვენი სტატიის გმირთან. ინტერ- ვიუერი ბოლოს ეკითხება: „ბატონო აკაკი, თქვენ ხშირად საყვედურობენ პასიურობას, მიიჩნევენ, რომ გაურბიხართ პასუხისმგებლობას…". პასუხიც ნიშანდობლივია: „ამას ბევრი მეკითხება. ბევრს ვუპასუხე კიდეც, მაგრამ, რო- გორც ჩანს, ცნობისმოყვარეობა ვერ დაკმაყოფილდა და ამიტომ კიდევ გავიმეორებ იმას, რაც ადრე მითქვამს".

ამას მ სდევს ვრცელი მსჯელობა, რომელიც ძალიან ჰგავს თავის მართლებას, თანაც არადამაჯერებელ თავის მართლებას. თავად განსაჯეთ, აკ. ბაქრაძის მთავარი არ- გუმენტი შემდეგია: „საქართველოში, სამწუხაროდ, ხალხი ერთმანეთისგან ვერ არჩევს საზოგადოებრივ საქმიანობასა და პოლიტიკურ საქმიანობას. მე, შეძლებისდაგვარად, სა- ზოგადოებრივ **საქმიანობას ვეწეოდი და ვეწევი დღესაც.** პოლიტიკური საქმიანობა კი სხვაა". (ხაზი ჩემია. — თ. მ.).

აი, ამით აიხსნება, თურმე, რომ კრიზისულ ვითარებებში აკაკი ბაქრაძის კვალსაც კი ვერ ვაგნებთ ხოლმე; რომ მან ჩვენს, ასე თუ ისე თვალსაჩინო, პოლიტიკურ (გნე- ბავთ, საზოგადო) მოღვაწეთაგან პრაქტიკულად ყველაზე ნაკლებად იბრძოლა მრგვალი ჰირის, შიზო-ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ.

მაგრამ დავუბრუნდეთ აკ. ბაქრაძის თავის მართლებას. პოლიტიკური მოღვაწე და საზოგადო მოღვაწე სხვადასხვაა, გვარწმუნებს იგი. ვფიქრობ, აშკარად ხელოვნური გამიჯვნაა. მით უმეტეს, დღევანდელი საქართველოს პირობებში, როცა ჟამთა სიავემ პრაქტიკულად მთელი მოსახლეობის პოლიტიზაცია გამოიწვია. მაგრამ დავუშვათ, მე ვცდები. დავუშვათ, არის პრინციპული სხვაობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეობას შორის და აკაკი ბაქრაძე, როგორც თავად ბრძანებს, ყოველთვის მხოლოდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა („მე, შეძლებისდაგვარად, საზოგადოებრივ საქმიანობას ვეწეოდი და ვეწევი დღესაც"), როგორ უთავსდება ამ მტკიცებას ის ფაქტები, რომ ბატონმა აკაკიმ 1989 წელს იტვირთა საბჭოთა კავშირის პირველი დემოკრატიულად არჩეული პარლამენტის დეპუტატობა? ხომ არ შეიძლება კაცი თან ამტკიცებდე პოლიტიკოსი არ ვარო და თან პარლამენტში იჯდე?! თანაც იჯდე შენი სამშობლოს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე საბედისწერო ჟამს!

ან ის რით ავხსნათ, რომ ბატონი აკაკი სათავეში ჩაუდგა რუსთაველის საზოგადოებას, რომელსაც სწორედ პოლიტიკური ქარტეხილებისგან საქართველოს გადარჩენა ევალებოდა?

საკავშირო პარლამენტშიც და რუსთაველის საზოგადოებაშიც გამოჩნდა აკაკი ბაქრაძის, როგორც პოლიტიკოსის (გნებავთ, საზოგადო მოღვაწის, მე პირადად განსხვავებას ვერ ვხედავ) ორი მთავარი თვისება: 1) თითქმის სრული განურჩევლობა მანდობილი უმნიშვნელოვანესი საქმისადმი (საკავშირო პარლამენტში მას საერთოდ არაფერი უთქვამს, არც რუსთაველის საზოგადოებაში გაუკეთებია ხელშესახები რამ); 2) საქმისგან გაქცევა ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში (აკ. ბაქრაძემ მიატოვა საკავშირო პარლამენტი, როდესაც მისი ტრიბუნიდან ნათქვამ ყოველ საჩვენო სიტყვას უთვალავ პრობლემაში ჩათრეული საქართველოსთვის ოქროს ფასი ჰქონდა. აკ. ბაქრაძემ რუსთაველის საზოგადოებაც სწორედ მაშინ მიატოვა, როცა საჭირო იყო უკიდურესად გათავხედებული პოპულისტ-დესტრუქციონისტების წინააღმდეგ ნამდვილად პატრიოტი, შემოქმედებით ძალების გაერთიანება).

შეიძლება „ბაქრაძისტებმა" ან თავად მათმა კერპმა გვითხრან, რომ იგი საკავშირო უზენაეს საბჭოში ეწეოდა გარკვეულ საქმიანობას, თუმცა ტრიბუნასთან ერთხელაც კი არ მისულა.

ვუპასუხებ, რომ პარლამენტი ის ადგილია, სადაც ადამიანს ძირითადად ლაპარაკი ევალება (სიტყვა „პარლე" ფრანგულად ნიშნავს „ლაპარაკს"). განა ბ-ნ ბაქრაძეს არ უნდა გაეცა პასუხი, მაგალითად, ვლ. არძინბას პრიმიტიული და საშინელი ანტიქართული დემაგოგიისათვის 1989 წლის ზაფხულში?

რაც შეეხება კულუარებში მუშაობას, აჯობებდა მათში აკ. ბაქრაძეს მონაწილეობა საერთოდ არ მიეღო (თუკი იღებდა!). მახსენდება, ერთი სატელევიზიო გამოსვლისას, ჩვენი დეპუტატების აბსოლუტური უმრავლესობის უმაქნისობით გამოწვეული ხალხის რისხვის დასაცხრობად, აკ. ბაქრაძემ თქვა, ჩვენ ჩუმად დავუკავშირდით ბალტიისპირეთის დეპუტატებს და მათთან ერთად შენიღბულად ვებრძვით ცენტრის პოლიტიკასო.

ეს განაცხადა აკაკი ბაქრაძემ ტელევიზიით!!! თანაც განაცხადა 1989 წელს, როცა იმპერიაც სალსალამათი იყო და სუკიც!!!

შეიძლება ბ-ნი აკაკი მართლაც მხოლოდ საზოგადო მოღვაწეა, მაგრამ ამგვარი შეცდომა (თუ დანაშაული?) არც ხეირიან საზოგადო მოღვაწეს მოუვა, არც დიასახლისს და არც უფროსკლასელ მოსწავლეს.

ახლა ვინმემ მკითხოს, რაღა მაინცდამაინც აკ. ბაქრაძისგან მოითხოვე დესტრუქციულ ძალებთან დაპირისპირებასაც და ახალი ეროვნული მცნების შექმნასაცო? ამ კითხვას ნაწილობრივ უკვე ვუპასუხე: ხალხი სწორედ აკ. ბაქრაძეს თვლიდა ჩვენი განმათავისუფლებელი მოძრაობის თეორეტიკოსად.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ თავად შეიფერა ლიდერისა და თეორიული მეტრის მანტია. ეს აშკარად იგრძნობა იმ მენტორულ ჭკუისდამრიგებლურ ტონში, რომლითაც აკაკი ბაქრაძე დიდსა და პატარას, მთელს ერს ელაპარაკება.

მისებრ ხმამაღლა ქართველთა ნაკლოვანებებზე, ილიასა და აკაკის შემდეგ, ვგონებ, არავის ულაპარაკია. მაგრამ წარმოგიდგენიათ ერისთვის უმძიმეს მომენტებში დამალული ილია ან აკაკი? წარმოგიდგენიათ, რომ 1989 წლის აპრილის დღეებში ილიას და აკაკის პრაქტიკულად არაფრით შეეშალათ ხელი მათთვის, ვინც, საკუთარი პერსონის წარმოჩენისა და რეკლამირების მიზნით, ყველანაირად ცდილობდა დიდი სკანდალის მოხდენას; ვინც გაიძახოდა, სისხლი უსათუოდ უნდა დაიღვაროსო (რასაკვირველია, საკუთარი სისხლი არ ჰქონდათ მხედველობაში) და კათალიკოსსაც კი არ დაემორჩილა?...

9 აპრილიდან გავიდა წელიწადი და იმ საშინელი ტრაგედიის მომწყობმა ძალებმა (დღეს ხომ უკვე თითქმის ყველასათვის ნათელია, რომ როდიონოვისა და ძმათა მისთა დარად მიტინგის მომწყობებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა) ახალი დიდი პროვოკაცია მოაწყვეს, ჩაშალეს პირველი დემოკრატიული არჩევნები 1990 წლის 25 მარტს. ჩაშალეს იმის მომიზეზებით, რომ „საბჭოური" არჩევნების გზით შექმნილი პარლამენტი ქვეყანას დამოუკიდებლობას ვერ მოუპოვებსო.

გავიდა ორ წელიწადზე ნაკლები და სწორედ ამ ჩვენგან დაწუნებული გზით არჩეულმა პარლამენტებმა მოუპოვა დამოუკიდებლობა თოთხმეტივე ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკას. ჩვენ კი არჩევნების ჩაშლამ მოგვიტანა ფაქტობრივი სახელისუფლებო ვაკუუმი, რამაც, თავის მხრივ, ააგორა ნგრევის სტიქია.

სად იყო იმხანად აკაკი ბაქრაძე? რატომ არ ამხილა ის დემაგოგიური და კურიოზული „არგუმენტი", რომლითაც ეროვნულ-გამანადგურებლებმა ნორმალური პარლამენტის არჩევა არ დაუშვეს?

1990 წლის შემოდგომაზე აკ. ბაქრაძე პრაქტიკულად არაფრით დაპირისპირებია ქვეყნის დაუღალავად ატეხილ მრგვალებს. პირიქით, თავი გაარიდა მათთან მეტოქეობას; რუსთაველის საზოგადოების წინასაარჩევნო სიებში 49-ე ნომრად ჩაეწერა, რითაც სრულიად ნათლად აგრძნობინა საზოგადოებრიობას, მე ხელს ვიბან, ჩემი იმედი ნუ გექნებათო.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ აკაკი ბაქრაძეს პრაქტიკულად არ უბრძოლია მრგვალი ჰირის წინააღმდეგ, თუმცა არ შეიძლებოდა არ ჰქონოდა გაცნობიერებული, რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მის სიტყვას, თქმულს შიზო-ფაშისტური (ეს ტერმინი, ჩემის აზრით, უფრო შეეფერება მრგვალი რეჟიმს არსს, ვიდრე პროვინციული ფაშიზმი) ძალების წინააღმდეგ.

მაშინაც კი, როცა გამსახურდიას მმართველობა უკვე სრულიად გაუსაძლისი შეიქნა (1991 წლის გაზაფხულიდან), როცა უკვე თითქმის მთელმა ქართველმა ინტელიგენციამ აღიმაღლა ხმა, აკაკი ბაქრაძემ კვლავ განზე დგომა და მოსეირის პოზიცია ამჯობინა.

დღეს კი ხმამაღლა გვიცხადებს: „არ ვიზიარებდი გზას, რომელსაც 28 ოქტომბრის ხელისუფლება ადგა". „პრინციპი, რომლითაც მაშინ (1990 წელს. — თ. მ.) მოდიოდა ხელისუფლების ჩასაგდებად ეროვნული მოძრაობის გარკვეული ნაწილი, ჩემთვის მიუღებელი იყო". („თემი", № 2, 1994).

როგორც ვხედავთ, ბატონ აკაკის იმთავითვე შეცნობილი ჰქონია ეროვნულ-გამანადგურებელთა ჭეშმარიტი სახე. მით უფრო აუხსნელი და მიუტევებელია მისი პასიურობა, განცდემა ბრძოლის ასპარეზიდან.

აკ. ბაქრაძემ მხოლოდ უკანასკნელ არჩევნებზე გამოიჩინა აქტიურობა და მთელი თავისი ენერგია იმ ძალთა მხარდასაჭერად მიმართა, რომლებსაც მრგვალებზე ბევრად ნაკლები პასუხისმგებლობა როდი ეკისრებათ საქართველოს გაპარტახებაში. დღევანდელ ხელისუფლებას კი თავგამოდებული უდგას ოპოზიციაში. ამის ნახევარი თავგამოდება მრგვალი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში რომ გამოეჩინა, ეგებ უკეთ წასულიყო საქართველოს საქმე!

ეხლა ისიც ვიკითხოთ, დღევანდელ ხელისუფლებას რას უწუნებს ბატონი აკაკი? რას და იმასვე, რასაც სხვა ოპოზიციონერები:- ეკონომიკის მოშლას, აფხაზეთში ომის წაგებას, მძიმე კრიმინოგენულ ვითარებას...

ერთ დროს აკ. ბაქრაძე წერდა: „სახელმწიფო, სოციალური, პოლიტიკური, **ეკონომიკური** სისტემა, რომელიც საბჭოთა კავშირში არსებობს, პირწმინდად უნდა დაინგრეს". (ხაზი ჩემია. — თ. მ. „საქ. რესპუბლიკა". 15 ნოემბერი, 1990). ამას წერდა „ეროვნული მოძრაობის" ყველაზე დახვეწილი თეორეტიკოსი. წარმოვიდგინოთ (უფრო სწორად, გავიხსენოთ) რას წერდნენ და იძახდნენ ნაკლებად დახვეწილი ლიდერები (ნ. ნათაძე, ი. წერეთელი, თ. ჩხეიძე...).

რაც მართალია, მართალია, მათ აღასრულეს ქადილი, დაანგრიეს ყველაფერი, რისი დანგრევაც შეძლეს, მაგრამ რამდენად ზნეობრივია მათი საქციელი, დღევანდელ ხელისუფლებას რომ უკიჟინებენ, რატომ არის ეკონომიკა დანგრეულიო?!

ვიცი, **ნგრევას** ისინი უწოდებდნენ **განთავისუფლებას.** მაგრამ განთავისუფლება რომ არა ნგრევითი, არამედ აღმშენებლობითი პროცესია, ამას საქართველოს ბედიც ადასტურებს; მოკავშირე რესპუბლიკათაგან ჩვენ ყველაზე მეტი ვანგრიეთ და ყველაზე გვიან ვეღირსეთ ჩვენი სუვერენიტეტის საერთაშორისო აღიარებას.

ეხლა იმაზეც დავფიქრდეთ, შეიძლებოდა თუ არა არ წაგვეგო ომი აფხაზეთში, რომელიც, სხვათა შორის, დაიწყო არა 1992 წლის აგვისტოში, არამედ 1989 წლის ზაფხულის დამდეგს, როცა ვლ. არძინბამ საკავშირო პარლამენტში საშინელი და ფანტასტიკური ბრალდებები წამოგვიყენა მთელი მსოფლიოს გასაგონად.

ჩვენი ლიდერები კი (მათ შორის ბაქრაძეც) დუმდნენ.

აფხაზებმა უდიდესი სამუშაო გასწიეს თავიანთთვის სასარგებლო საერთაშორისო აზრის შესაქმნელად.

ჩვენს ლიდერებს (მათ შორის ბაქრაძეს) ამ მიმართულებით არაფერი გაუკეთებიათ.

აფხაზები ყოველმხრივ — იარაღით, ფინანსურად, მორალურად, თეორიულად — შეუდგნენ ომისთვის მზადებას.

ჩვენი ლიდერები (მათ შორის ბაქრაძე) ამ მხრივაც მცონარობდნენ.

აფხაზებმა ისარგებლეს იმით, რომ ჩვენი ლიდერები (მათ შორის ბაქრაძეც) თვითრეკლამირებითა და ეპატაჟით იყვნენ გართულნი, ისარგებლეს მათი არაკომპეტენტურობით და უპასუხისმგებლობით და სწორედ მათგან, „ეროვნულ ლიდერთაგან" მიიღეს დასტური აფხაზეთში არჩევნების აპარტეიდული კანონით ჩატარებაზე.

სად იყო მაშინ აკაკი ბაქრაძე? რატომ არ დაარისხა გამგზის ზარები?

რაც მთავარია, აფხაზებმა ჭკვიანური პოლიტიკა აწარმოეს რუსეთის მიმართ. ჩვენი ლიდერები კი (მათ შორის ბაქრაძეც) უშვერი ლანძღვა-გინებით იკლებდნენ და იკლებენ მეზობელ ზემძლავრ სახელმწიფოს.

ამ ფაქტების გათვალისწინებით მკითხველმა თავად განსაჯოს, ვისი ბრალია აფხაზეთის ომის წაგება.

რაც შეეხება კრიმინალურ ელემენტთა თარეშს, ესეც ეროვნულ-გამანადგურებელი მოძრაობის ფეშქაშია. ვინ არიგებდა იარაღს განუკითხავად? ვინ შექმნა შეიარაღებული ფორმირებები არასწორი, მანკიერი მეთოდით, რამაც ღირსეულ, პატრიოტ ადამიანებთან ერთად კრიმინალურ ძალებსაც გაუხსნა გზა ოფიციალური ფორმირებებისაკენ?

რატომ არც მაშინ აღიმაღლა ხმა აკაკი ბაქრაძემ?

1990 წლის გაზაფხულზე თბილისში მსუბუქად დაჭრეს ბატონი გია ჭანტურია. ეს იყო პირველი პოლიტიკური გასროლა საქართველოში. დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ ყოფილ კომკავშირის ცეკას შენობაში დახოცეს „თეთრი არწივის" ორი მებრძოლი. ეს იყო პირველი პოლიტიკური მკვლელობა საქართველოში. გავიდა კიდევ წელიწადი და 1991 წლის 2 სექტემბერს მოხდა პირველი პოლიტიკური შეტაკება საქართველოში. იმ წლის მიწურულს კი დაიწყო სამოქალაქო ომი.

ყოველ ამ აქციაში ყოველი მხრიდან ჩაბმულნი იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ-გამანადგურებელი მოძრაობის წარმომადგენლები. შეიძლება ითქვას, რომ მათი ინიციატივითა და ძალებით განხორციელდა ყოველივე ეს.

რაც შეეხება 1992 წლის გაზაფხულიდან მოსულ ხელისუფლებას, მან შეძლო ქართველთა შორის ომის შეჩერება ჯერ თბილისში, მერე სრულიად საქართველოში. რომ არა ეს ხელისუფლება, მრგვალების დამხობის შემდეგ გამარჯვებული და დროებით ერთად მყოფი. მაგრამ შინაგანად ურთიერთდაპირისპირებული ძალები სულ მალე ერთმანეთს დაესხმებოდნენ. საქმეში ჩაებმებოდნენ გროზნოში მოშუშებული და მოძლიერებული მრგვალებიც.

აი, მაშინ დავიწყევლიდით გაჩენის დღეს!

დიახ, რომ არა დღევანდელი ხელისუფლების დიდი გასაოცარი ძალისხმევა, საქართველოში მოხდებოდა ის, რაც ხდება ყველა იმ ქვეყანაში, სადაც იარაღით ამხობენ არჩეულ ხელისუფლებას (ცუდს თუ კარგს სულ ერთია) და სადაც დაბალია პოლიტიკური კულტურა და მაღალია ამბიციები.

ასეთი ქვეყნებია ავღანეთი, სომალი, აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის კიდევ მრავალი სახელმწიფო, სადაც მიმდინარეობს გაუთავებელი ომები ყველასი ყველას წინააღმდეგ. სადაც ათობით და ასობით ათასი ადამიანი იღუპება და არავინ იცის რისთვის.

• • •

აკაკი ბაქრაძე იმდენად აუტანია თავის მართლების სურვილს, რომ თავის პოლიტიკურ არაპრინციპულობას და პასიურობას ქართველ ერსაც კი აბრალებს.

„ჩემი პრინციპები არსებითად უარყოფილ იქნა 28 ოქტომბერს, როცა რუსთაველის საზოგადოება დამარცხდა, ხოლო რაკი უარყვეს, მე მიზანშეწონილად აღარ მივიჩნიე საქმეში მონაწილეობა. (...) ჩემთვის ნათელი გახდა, რომ საზოგადოებამ და ხალხმა არ გაიზიარა ის, რასაც ვფიქრობდი მე. აქედან გამომდინარე, ვერ დავინახე პოლიტიკურ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობის აზრი".

დიდ ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ რაკი ბატონი აკაკი თავად ქადაგებს, აზრი თამამად გამოთქვითო, ვიტყვი, რომ ციტირებული სტრიქონები არის კლასიკური ნიმუში პოლიტიკური დემაგოგიისა.

ჯერ ერთი, თუკი აკ. ბაქრაძეს მიაჩნდა, რომ მისი და რუსთაველის საზოგადოების პროგრამა სწორი იყო, რასაც დღეს ამტკიცებს, ენერგიულად უნდა ებრძოლა მისი პროპაგანდისათვის; მხოლოდ კონცეფციის გაზეთში გამოქვეყნება რომ კმაროდეს, კლასიკური დემოკრატიის ქვეყნები ამდენ დროს, ენერგიას, სახსრებს არ შეალევდნენ წინასაარჩევნო კამპანიას!

საქართველოში საპროპაგანდოდ კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა იყო საჭირო, რადგან საქართველოს ბევრი უკლია კლასიკურ დემოკრატიულ მდგომარეობამდე. რუსთაველის საზოგადოებას კი, აკ. ბაქრაძის მეთაურობით, პრაქტიკულად არც უწარმოებია წინასაარჩევნო კამპანია. თავად თავმჯდომარე საზოგადოებისა, როგორც უკვე ვთქვით, წინასაარჩევნო სიებში 49-ე ნომრად ჩაეწერა...

ესეც არ იყოს, ხალხმა მანამდე წლინახევრით ადრე აკი მიიღო ბაქრაძის წინასაარჩევნო პროგრამა და მიავლინა იგი საკავშირო უმაღლეს საბჭოში. ხალხს ეს ახსოვდა. ახსოვდა ისიც, რომ მოსკოვში ბატონ ბაქრაძეს არაფერი გაუკეთებია და ყველაზე პასუხსაგებ მომენტში საერთოდ დააგდო დეპუტატის მანდატი.

არც მანამდე გამოირჩეოდა სესიებზე ბეჯითი დასწრებით. აი, როგორი დიალოგი გაიმართა მასსა და „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტს შორის:

კორ.: საინტერესოა, საშემოდგომო სესიაზე რატომ არ მონაწილეობთ?

აკ. ბაქრაძე: „იმ საკანონმდებლო აქტებიდან, რომლებიც საშემოდგომო სესიაზე განიხილეს, არცერთს არ ვთვლი რაიმე მნიშვნელობის მქონედ". („სრ", 15 ნოემბერი, 1990).

დალოცვილო ბატონო აკაკი, ის საკანონმდებლო აქტები შეიძლება მართლაც უვარგისი იყო, მაგრამ თქვენ შეგეძლოთ უკეთესი, ან თუნდაც ერთი სიტყვა გეთქვათ საქართველოს საქომაგო ტრიბუნიდან, რომლის ხმა მთელ პლანეტას სწვდებოდა.

ხალხს ეს ახსოვდა.

ხალხმა ისიც იცოდა, რომ რუსთაველის საზოგადოების წინასაარჩევნო პროგრამა დანარჩენ პროგრამათა ტყუპისცალი იყო (ახლა ამის მტკიცება შორს წაგვიყვანს. თუმცა, თუ საჭირო იქნა, შევეცდები დამტკიცებას).

ასე რომ, ხალხს ნუღარაფერს დავაბრალებთ. ხალხმა ნამდვილად დაუშვა შეცდომები, მაგრამ ამის მიზეზი იყო პოლიტიკურ ლიდერთა უპრინციპობა, არათანამიმდევრულობა, ამბიციურობა, გაუბედაობა, „ქვეშიდან" გამოსვლა. ხალხმა რომ შეცდომა არ დაუშვას, პოლიტიკურმა ლიდერებმა უნდა გაუკვალონ სწორი გზა. თუ როგორი გზისმკვლევი იყო ერთი ყველაზე გავლენიანი ლიდერი, აკაკი ბაქრაძე, უკვე დავინახეთ და კიდევ დავინახავთ.

თემურ ჩირიანაშვილი.

(დასასრული იქნება).

ამ ტრიალ ქვეყანაზე

პირველად 16 წლის შემდეგ

თეთრმა სახლმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ივნისისათვის დაგეგმილია იაპონიის იმპერატორის აკიჰიტოს და მისი მეუღლის მიჩიკოს ოფიციალური ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ვიზიტი დაადასტურებს ვაშინგტონსა და ტოკიოს, იაპონელ და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებს შორის კავშირურთიერთობის სიმტკიცეს.

ვიზიტი 10 ივნისს დაიწყება და ორი კვირა გაგრძელდება. იმპერატორი მეუღლითურთ ათ ქალაქს ეწვევა. ეს იქნება 1975 წლის შემდეგ იაპონიის იმპერატორის პირველი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

პაექრობა ოქსფორდის სტილით

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ 16 მარტს ოფიციალური სხდომის შემდეგ გადაუხვია ტრადიციულ პროცედურას და პირველად გამართა პაექრობა სადისკუსიო ფორუმის სახით. ასეთი პრაქტიკა დიდი ბრიტანეთის ოქსფორდის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა „უხსოვარი დროიდან".

რესპუბლიკელებმა და დემოკრატებმა ორი გუნდი გამოყვეს (ოთხ-ოთხი თითოეულში) პრეზიდენტ კლინტონის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმის წინადადების განსახილველად და იმის გასარკვევად, ნამდვილად ითვალისწინებს თუ არა „ეს გეგმა ელემენტებს, რომლებიც საფუძვლად შეიძლება დაედოს მომავალ რეფორმებს".

ორსაათიანი პაექრობის მსვლელობაში, რომელიც ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერი რიჩარდ გეფჰარდტი და რესპუბლიკური ფრაქციის ორგანიზატორი ნიუტ გინგრიჩი სათავეში ჩაუდგნენ თავისი პარტიის გუნდებს, რომლებშიც შედიოდნენ ჯანმრთელობის საკითხების ყველაზე კომპეტენტური კონგრესმენები.

პაექრობის შემდეგ მაყურებლები ამერიკის შეერთებული შტატების ყველა კუთხიდან, აგრეთვე თვით დომინიკელთა რესპუბლიკიდან რეკავდნენ სტუდიაში, რათა შეკითხვები დაესვათ გეფჰარდტისა და გინგრიჩისათვის. ორივე ლიდერი „მიიჩნევს, რომ ასეთ ღია პაექრობას შეუძლია ხელი შეუწყოს ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებას ყველაზე უფრო არსებით პრობლემებზე და საშუალებას მისცემს ამერიკელებს უფრო სრულად აღიქვან ის ფუნდამენტური უთანხმოება, რაც არც თუ იშვიათად არსებობს ჩვენს შორის", თქვა გეფჰარდტმა.

„ოქსფორდის კავშირის" ოთხი წარმომადგენელი, რომლებიც შეერთებულ შტატებში იმყოფებიან, თვალყურს ადევნებდნენ პაექრობას და მას მაღალი შეფასება მისცეს. ერთ-ერთმა მათგანმა მას „ბრწყინვალე" უწოდა.

წარმომადგენელთა პალატა უახლოეს თვეებისათვის გეგმავს კიდევ ორი ოქსფორდული პაექრობის მოწყობას სხვადასხვა საკითხზე. ამის შემდეგ პალატების ლიდერები გადაწყვეტენ საკითხს შემოიღონ თუ არა დისკუსიების ჩატარების ეს ფორმა, როგორც ოფიციალური პროცედურა.

გეფჰარდტმა ისიც თქვა, რომ პალატების ლიდერები სწავლობენ აგრეთვე დრო და დრო დისკუსიებში პრეზიდენტისა და კაბინეტის წევრების მოწვევის შესაძლებლობას, რათა მათ გასცენ პასუხი — წარმომადგენელთა პალატის წევრების შეკითხვებზე პარლამენტურ სისტემაში მიღებული პროცედურის შესაბამისად.

ნდობის ღონისძიებათა გამყარებისთვის

რუსეთსა და იაპონიას შორის მიღწეულია პრინციპული თანხმობა თავდაცვისა და უსაფრთხოების დარგში ურთიერთგაცვლის შესახებ. ეს დღეს განაცხადა იაპონიის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ცუტომუ ჰატამ, რომელიც გამოვიდა მოსკოვში თავისი ვიზიტის შედეგებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე. როგორც მან თქვა, მხარეები შეთანხმდნენ ნდობის ღონისძიებათა გამტკიცების მიზნით განავითარონ კონტაქტები ამ სფეროში პოლიტიკის შემუშავებისათვის პასუხისმგებელ პირთა, კერძოდ, ორი ქვეყნის თავდაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენელთა შორის. იგი შეხვდა რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს ივანე რიბკინს. საუბრის დროს მან აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს იაპონიისა და რუსეთის კონტაქტებს სამთავრობო დონეზე და დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ორი ქვეყნის დემოკრატიულ პარლამენტარებს შორის ურთიერთობას.

საშ [illegible]

ტელ: 93-52-63, 93-6[illegible]

სააქციო საინვესტიციო საზოგადოება «სასკოს» აქციონერთა და მეანაბრეთა საყურადღებოდ!!

მეანაბრეთა კრებაზე (28. II. 94 წ.) განიხილეს სახელშეკრულებლო თანხების გაცემის სამი თვით შეწყვეტის საკითხი. უნდა გაცემულიყო მხოლოდ დივიდენდები. მეანაბრეთა დიდი ნაწილი გაგებით მოეკიდა მიღებულ შეთანხმებას: მეანაბრეების გარკვეული ნაწილი არ დაეთანხმა კრების ამ გადაწყვეტილებას და შეეცადა ნებისმიერი ხერხებით ძირითადი თანხების გატანას. ამის გამო „სასკოს" ადმინისტრაციამ და თანამშრომლებმა ვერ შეძლეს ელემენტარული ფუნქციონირების განხორციელება.

ამასთან დაკავშირებით კორპორაციის საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია „სასკოს" ლიკვიდაცია. ერთი კვირის განმავლობაში შეიქმნება სალიკვიდაციო კომისია, რომელიც „სასკოს" ქონების და ვალდებულების რეალიზაციას განახორციელებს.

„სასკოს" აქტივებს მერტის-მონაცემებით შეადგენს:

კერძო პირთა ვალდებულებები —	478 000 $
იურიდიულ პირთა ვალდებულებები —	524 000 $
წილები —	350 000 $
ქონება —	დაახლოებით 1 100 000 $
სხვა —	70 000 $
სულ: —	2 522 000 $

მეანაბრეთა გასასტუმრებელი თანხა შეადგენს 1 800 000 $.

დემპინგურ ფასებში ქონების გაყიდვის თავიდან აცილების მიზნით, ვალდებულებათა დაფარვის დაწყების ვადად გამოცხადდეს 1994 წლის 28 ივნისი. ვალდებულებები დაფარული იქნება ერთი თვის პერიოდში.

სასურველია სალიკვიდაციო კომისიაში კომპეტენტური მეანაბრეების მონაწილეობა. მეანაბრე, რომელიც წარმოადგენს ასი სხვა მეანაბრის მინდობილობას (ხელმოწერილ სიას), ჩართული იქნება სალიკვიდაციო კომისიის შემადგენლობაში. კომისიის მუშაობის შესახებ გამოქვეყნდება პერიოდული ბიულეტენი და გამოცხადდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

კორპორაციის საბჭო

უმოკლეს დროში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნდება ინტერვიუ ბატონ ამირან ქადაგიშვილთან.

FREEDOM SUPPORT ACT-ის 1994 წლის სასტიპენდიო პროგრამა აშშ-ში საასპირანტურო სწავლებისათვის

ამერიკის მთავრობა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო თბილისში აცხადებს კონკურსს 1994 წლის FREEDOM SUPPORT ACT-ის სტიპენდიის მოსაპოვებლად, რომელიც ითვალისწინებს 150 კანდიდატის ერთი ან ორი წლის ვადით სწავლებას აშშ-ში შემდეგ სპეციალობებზე:

1. ტელეჟურნალისტიკა (ჟურნალისტიკა);
2. განათლების მართვა;
3. საბიბლიოთეკო საქმე;
4. საზოგადოებრივი პოლიტიკა.

კურსდამთავრებულებს გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატი და მიენიჭებათ ხარისხი.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას განურჩევლად რასის, ფერის, სქესის, რელიგიის, ნაციონალური და ეთნიკური წარმომავლობისა თუ ინვალიდობისა, ვინც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

1. არის საქართველოს ან სხვა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკის მოქალაქე (40 წლამდე ასაკის);
2. თავისუფლად ფლობს ინგლისურ ენას;
3. გააჩნია უმაღლესის წარჩინებით დამთავრების მოწმობა;
4. აქვს პროფესიული გამოცდილება არჩეულ სპეციალობაში.

კონკურსზე არ დაიშვებიან პირები, რომელთაც მეუღლე აშშ-ს მოქალაქე ჰყავთ, მუშაობენ ან აპირებენ აშშ-ში ცხოვრებას, შეტანილი აქვთ განაცხადი საემიგრაციო ვიზის ან პოლიტიკური თავშესაფრის მისაღებად საზღვარგარეთ.

იმ პირებს, რომლებმაც ჩააბარეს 1994 წლის ედმუნდ მასკის სტიპენდიის ანკეტა, ახალი ანკეტის შევსება არ სჭირდებათ, რადგანაც ის შევსებული ანკეტა ვარგისია ამ პროგრამისთვისაც.

[illegible]

აფხაზი სეპარატისტები შეშფოთებული არიან

სოხუმში არსებული დანაშაულობის, ბანდიტიზმისა და ნარკომანიის გამო

აფხაზი სეპარატისტები და მა- საინფორმაციო სამსახურები დიდხანს ცდილობდნენ საზოგადოებრიობისათვის დაემალათ ის პროცესები, რომლებიც ბოლო ხანებში ხდებოდა აფხაზ და ჩრდილოკავკასიელ ბოევიკთა მიერ ოკუპირებულ სოხუმსა და ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

მაგრამ, ეტყობა, მათ მიერ ჩადენილმა მძლეობამ, ძარცვამ და მკვლელობამ ახლა ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომ გუდაუთის დაჯგუფების სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. ჩანს, რომ იგი აშკარად ველარ აკონტროლებს სიტუაციას. ამას მოწმობენ უკანასკნელი ორი-სამი კვირის წინათ სოხუმის გაზეთ „რესპუბლიკა აბხაზიაში" (აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ორგანო რუსულ ენაზე) გამოქვეყნებული მასალები. კერძოდ, 10 მარტს გაზეთი იტყობინება, რომ სოხუმში გაიმართა საზოგადოებრიობის მიტინგი, რომელზეც გამოვიდნენ მწერალი ჯუმა ახუბა, ქალაქ სოხუმის სამხედრო კომენდანტი ლეონიდ ძიაპშა, აფხაზეთის „დამცველთა კავშირის" თავმჯდომარე ზაურ ხვარწკია, პოეტი ნიკოლოზ [illegible], აფხაზეთის ეგრეთ წოდებული მთავრობის ვიცე-პრემიერი იური ვორონოვი, აფხაზეთის თავდაცვის მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი სულთან სოსნალიევი, კავკასიის ხალხთა კონფედერაციის წარმომადგენელი ჩეჩნეთის რესპუბლიკისაგან რუსლან ტუნტაევი და სხვები. მათი გამოსვლების მთავარი თემა იყო უაღრესად რთული კრიმინოგენული ვითარება სოხუმსა და აფხაზეთის სხვა ქალაქებში.

გაზეთი წერს, რომ დამნაშავეები სოხუმში არ ინდობენ არავის, ძარცვავენ, ხოცავენ და წვავენ. „ასეთი მოქმედება, — თქვა მიტინგზე, — ძირს უთხრის ახალგაზრდა რესპუბლიკის ავტორიტეტს მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში, ეჭვქვეშ აყენებს აფხაზეთში ცივილიზებული სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების შესაძლებლობას" (!).

გაზეთი აღიარებს, რომ აფხაზეთს მოედო დამნაშავეობა და ნარკომანია და აღნიშნავს, რომ თავად სოხუმისა და სხვა ქალაქების საზოგადოებრიობა უნდა ებრძოდეს ამას, ანგარიში არ გაუწიოს არც ნათესაურ კავშირს, არც მეგობრულ ურთიერთობას [illegible] თვითონვე არ დავძლიეთ დამნაშავეობა, იგი ჩვენვე დაგვამარცხებს და გამარჯვებაც ფუჭი გამოდგება", — ასეთი ყოფილა, თურმე, ამ მიტინგის ლაიტმოტივი. გაზეთის აზრით, „დაგმობის ღირსნი არიან ისინიც, ვინც აფხაზეთისათვის ამ მძიმე ჟამს თავს არიდებენ სამხედრო სამსახურს, მხოლოდ თავიანთ საქმეს აკეთებენ ან საერთოდ აფხაზეთის ფარგლებს გარეთ მოყუჩებულან, რათა შემდეგ უკვე მზამზარეულზე ჩამოვიდნენ. ასეთი ადამიანები აფხაზეთში არ უნდა ბოგინობდნენ".

სხვადასხვა ოფიციალური და არაოფიციალური წყაროებიდან მოსული ცნობებით, რომ ამ მიტინგის შემდეგ სოხუმში სიტუაცია სულაც არ შეცვლილა. სხვათა შორის, აფხაზი და ჩრდილოკავკასიელი ბოევიკები და დამნაშავეთა ჯგუფები ძარცვავენ, ხოცავენ და აუპატიურებენ არა მარტო ქართველებს, არამედ სხვა ეროვნებათა მოქალაქეებსაც — რუსებს, ბერძნებს, სომხებსა და თავად აფხაზებს. თუმცა, რა არის აქ გასაკვირი? მას შემდეგ, რაც გაძარცვეს და შეურაცხყვეს ქართველები, სხვებს ჯერიც დადგა.

[illegible] ბოლო ხანს მთელი რიგი აფხაზი [illegible] ტელევიზიით და [illegible] ხსნით, თუ რა შეიძლება მოიტანოს ბანდიტიზმმა და ტერორმა აფხაზეთში. თუმცა, შეიძლება ეჭვიც არ დაგვებადოს, რომ ამგვარი მოწოდებები შედეგს ვერ მოიტანს. როგორც იტყვიან, რასაც დასთეს, იმას მოიმკით.

თენგიზ ბაჭკორია,
საქინფორმის კორ.

ინფორმაცია

ხანძარი კოსტავას ქუჩაზე

„საქინფორმის“ კორესპონდენტის ცნობით, 22 მარტს, 17 საათზე კოსტავას ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა საზოგადოება „თბილისელის“ შენობას. ხანძრის შედეგად მთლიანად დაიწვა შენობის მეორე სართული და სახურავი.

ხანძრის გამომწვევი მიზეზები დგინდება.

დაფუძნდა საზოგადოება

თელავში დაფუძნდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის რაიონული საზოგადოება. მის ხელმძღვანელად აირჩიეს თელავის გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი ნიკოლოზ ქორთუა.

გურამ სოზაშვილი.

„იბერიის“ ლენტიდან

თბილისი. ქართველი ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა მ. ლორთქიფანიძის, ლ. თოიძის, ნ. ლომოურის, ს. ცინცაძის, ლ. მატარაძის, ზ. ფორაქიშვილის, ა. მენთეშაშვილის, ვ. ხაჩაპურიძის შემადგენლობით გააკეთა მიმართვა, რომელშიც გამოხატულია შეშფოთება ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უზენაეს საკანონმდებლო ორგანოში 27 მარტის არჩევნებთან დაკავშირებით. მიმართვაში ნათქვამია, რომ საქართველოს რესპუბლიკა არის გაეროს სრულუფლებიანი წევრი და მისი ტერიტორიული მთლიანობა, რომელიც მოიცავს შიდა ქართლსაც, აღიარებულია მსოფლიოში და დამტკიცებულია გაეროს უშიშროების საბჭოს რიგი რეზოლუციებით, რომლებიც ამ ბოლო დროს არის მიღებული.

მიმართვაში გამოხატულია აგრეთვე მოწოდება და თხოვნა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტისადმი, რათა პოლიტიკური შეფასება მიეცეს აღნიშნულ არჩევნებს. ინტელიგენცია მოუწოდებს ოსი ეროვნების ყველა საღად მოაზროვნე მოქალაქეს, არ დაუშვას კონფლიქტის შემდგომი გაღრმავება და გამწვავება.

თბილისი. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი, აფხაზური მხარე გეგმავს ფართომასშტაბიან შეტევით ოპერაციას კოდორის ხეობაში დალის ხეობაში გამაგრებული ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ. მათი მიზანია, მთლიანად დაიპყრონ ეს ხეობა და შემდეგ სვანეთის პირდაპირი გზით დაუკავშირდნენ ჩრდ. კავკასიის რესპუბლიკებს და ამით შეამცირონ თავიანთი დამოკიდებულება მდ. ფსოუზე რუსეთის ჯარების მიერ დაწესებული სასაზღვრო რეჟიმის მიმართ.

თბილისი. ე. წ. მთიელ ხალხთა კონფედერაციის სამხედრო მეთვალყურეები ჩავიდნენ გალის რაიონში. გუდაუთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აფხაზეთში ნებისმიერი კუთვნილების ჯარის შემოყვანის შემთხვევაში, აფხაზეთი კვლავ მიმართავს დახმარებისათვის ჩრდილოეთ კავკასიას.

თბილისი. 1 აპრილიდან საგრძნობლად გაუმჯობესდება მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგება. როგორც საქენერგოს ხელმძღვანელობამ განაცხადა, ამ პერიოდისათვის საქართველოში შემოიტანენ დიდძალ ენერგომატარებლებს.

თბილისი. ენერგეტიკული კრიზისის გამო, ფირმა „თელასის“ მწყობრიდან გამოვიდა 145 ტრანსფორმატორი და [illegible].

ხობი. ხობის რაიონში შეიქმნა განათლების საქმეთა კომისია, რომლის მიზანია შეისწავლოს და გაანალიზოს რაიონის განათლების სისტემაში არსებული სერიოზული ხარვეზები. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ [illegible] და ეკონომიკის, სახალხო განათლების ინსპექციის, შინაგან საქმეთა რაიონული პოლიციის ხელმძღვანელები.

თბილისი. რუსეთის [illegible] მოსახლეობა.

[illegible] აზრით, ეს დაკავშირებულია [illegible] ტერიტორიაზე.

ბედი დევნილთა...

სიტყვა ლტოლვილმა, გნებავთ დევნილმა, დღეს უფრო ტრაგიკული შინაარსი შეიძინა, ვიდრე ოდესმე... თავდაპირველად ეს ბედი ეწია სამაჩაბლოელ მკვიდრ ქართველობას, მერე და მერე აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს, რომელთა გენოციდი კვლავაც გრძელდება.

აიყარა და გადმოიხვეწა აფხაზეთიდან სამასიათასამდე კაცი; მათ შორის არიან აფხაზეთის მკვიდრი ქართველი მწერლები, რომლებმაც იგივე ტანჯვის გზა გამოიარეს, რაც დანარჩენმა ბუდემოშლილმა ადამიანებმა. დედაქალაქი დედასავით მოეფერა მათ და თავის კალთა გადააფარა, მაგრამ ლტოლვილობა მწარე ხვედრია, ყოველი ხიზნის გულის ნაწილი აფხაზეთში დარჩა, ყოველი დევნილის ნატვრაა საკუთარ კერას დაუბრუნდეს...

...ამ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული შეხვედრა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირში.

აქ თავისი პირ-ვარამი გაუზიარეს თანამოკალმეებს აფხაზეთიდან გამოხვეწილმა მწერლებმა.

შეხვედრა გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ფანჯიკიძემ. მან საკუთარი თვალით იხილა ის უბედურება, რაც თავს დაატყდა აფხაზეთის — საქართველოს ამ უძველესი და უმშვენიერესი კუთხის — მცხოვრებთ გუდაუთელ სეპარატისტთა ხროვამ, მოწმე გახდა სასტიკი შეტევებისა და ქართველთა თავდადებული ბრძოლისა, წაგებული ომისა, რის შედეგადაც ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა და სასოწარკვეთილმა ზღვით თუ ხმელით სამშვიდობომდე გამოაღწია...

ამ ტრაგიკული დღეების შესახებ ილაპარაკა პოეტმა გენო კალანდიამ. იგი მიესალმა დარბაზში მყოფ ლტოლვილ თანამოკალმეებს, აღნიშნა ის დიდი თანადგომა, რაც ყოველ მათგანს აღმოუჩინა საქართველოს მწერალთა კავშირმა როგორც ყოფითი, ასევე შემოქმედებითი თვალსაზრისით. იგი თავის გამოსვლას ამთავრებს ლექსებით „შაბათის რეკვიემი“, „მე იაშვილის ვატარებ ორდენს“, „სიტყვა“...

შეხვედრაზე გულისტკივილით ახსენეს აფხაზეთის ომში საქართველოს ერთიანობისათვის გმირულად დაღუპული ვაჟკაცები — თანამოკალმეთა შვილები ლევან აბაშიძე, არჩილ მიშველაძე, მახარე ჯანელიძე.

აფხაზმა სეპარატისტებმა დახვრიტეს პოეტი-ქალი ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე, ჟურნალისტი ზურა ახალაია, რომელიც გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთს“ ოცდაათ წელიწადს რედაქტორობდა.

რამდენიმე მწერლის ბედი არც ახლა ვიცით — თქვა ჩვენთან საუბარში ბატონმა გენომ, — ესენი გახლავან ნათელა მამარდაშვილი, მირიან მირნელი, ტყვედ ჰყავთ ჭაბუკი გოჩა აქუბარდია — მწერალ ევგენი აქუბარდიას ვაჟი.

თბილისში ყველანაირი პირობები შეგვიქმნეს, უნუგეშოდ დარჩენილთ, გამოიცა და კვლავაც გამოვა რამდენიმე მწერლის წიგნი, ჟურნალი „რიწა“ — რომლის რედაქტორს გურამ ოდიშარიას წლის საუკეთესო ნაწარმოებისათვის მწერალთა კავშირის პრემია მიენიჭა პოეტ ჯანო ჯანელიძესთან ერთად.

აქვე შევახსენებთ მკითხველს, რომ თავად გენო კალანდიამ სახელმწიფო პრემია დაიმსახურა პოეტური კრებულისათვის — „მესამე თვალი“.

ტკივილით, მაგრამ აფხაზეთის მიწაზე დაბრუნების რწმენით იყო აღსავსე ჯანო ჯანელიძის, ოთარ ჯუმბურიას, ევგენი აქუბარდიას, გურამ ოდიშარიას, გივი ბერაიას, [illegible] ვიკუას გამოსვლები. სოხუმელმა ექიმმა ჯუმბერ ჯოჯუამ აღნიშნა, რომ ექიმებიც და მწერლებიც თავგანწირვით იცავდნენ ქალაქს, მაგრამ აფხაზეთი მაინც წაგვართვეს, რომ მომავალი გაარკვევს თუ ვის უდგას ამ ცოდვაში ფეხი.

თანამოკალმეებს მიესალმნენ პოეტები ვახტანგ გორგანელი, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, მზია ჩხეტიანი.

...ჩემთვის ღამდება და თენდება აფხაზეთში დაბრუნების ფიქრით, — თქვა გენო კალანდიამ.

...ჩვენ ყველანი ერთად ვართ მომლოდინე და მონატრული იმ ნათელი დღისა, როცა მართლაც თავიდან დაიწყება ცხოვრება უძველეს და უმშვენიერეს ქართულ მიწაზე და სიტყვა ლტოლვილი წარსულს ჩაბარდება...

ნანა ღვინეფაძე.

• • •

სურათზე: შეხვედრა მწერალთა კავშირში.

სიმონ კილაძის ფოტო.

კალათბურთი

ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის მორიგ სათამაშო დღეს დიდი ინტერესი გამოიწვია რუსთავის „აზოტისა“ და თბილისის „მერანის“ შეხვედრამ, რომლის შედეგიც, ალბათ, გადამწყვეტ გავლენას იქონიებს საუკეთესო ექვსეულში ერთ-ერთი ადგილის განაწილებაზე.

რუსთაველებმა, რომლებიც ამ ტურიდან კვლავ თავიანთი ლიდერის რომან გოგობერიშვილის (იგი საბერძნეთში დაბრუნდა) გარეშე ასპარეზობენ, მძაფრ ბრძოლაში შეძლეს უშუალო კონკურენტის დამარცხება 72:63 და რეალური შანსი გაუჩნდათ უძლიერესთა შორის დასამკვიდრებლად. ამავე დღეს „თორმა“ გაურთულებლად დაძლია „ჯიქის“ წინააღმდეგობა — 110:71. ამ მატჩში შედეგიანი თამაშით თავი გამოიჩინა გამარჯვებულთა გამთამაშებელმა დავით თორთლაძემ (42 ქულა).

როკსი

გუშინ „კაქტუსმა“ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა „თბილისთან“ 80:67, ხოლო დინამოელთა სნაიპერმა შალვა ცხვედიანმა აიწყვიტა „შევარდენთან“ 51 ქულა მოაგროვა და ფაქტიურად მარტომ დაამარცხა მეტოქე 118:47.

მინი-ფეხბურთი

რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის დარბაზში გრძელდება ქვეყნის ჩემპიონატი უმაღლესი სასწავლებლების კლუბებს შორის, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს სტუდენტთა ნაკრებისათვის კანდიდატების შერჩევას მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატისათვის (სექტემბერი, კვიპროსი).

ჯერჯერობით უდანაკარგოდ თამაშობს გათამაშების ფავორიტი — საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის გუნდი (მწვრთნელი — ელგუჯა გუგუშვილი), რომელმაც სამივე მატჩი მოიგო. აღსანიშნავია, აგრეთვე, თელავის პედინსტიტუტის ფეხბურთელთა კარგი გამოსვლაც, რომელიც ლიდერს 1 ქულით ჩამორჩება.

დაისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით

კონფედერატთა ლიდერები შანიბოვი და ხალიდოვი — სისხლის სამართლის პასუხისგებაში

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა სპეციალური წერილით მიმართა რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურორს. მასში აღწერილია ის ბოროტება, რაც აფხაზმა სეპარატისტებმა, მათმა ჩრდილოკავკასიელმა დამქაშებმა და კაზაკებმა ჩაიდინეს და ახლაც სჩადიან აფხაზეთში.

— ე. წ. კავკასიის ხალხთა კონფედერაციამ, — ნათქვამია წერილში, — აშკარად დაარღვია ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ ჟენევის 1993 წლის კონვენცია, მისი № 1 დამატებითი ოქმის 47-ე მუხლი, რომელიც კრძალავს დაქირავებულთა გამოყენებასა და გაგზავნას სუვერენულ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, პოლიტიკურად უხეშ ჩარევას მათ საქმეებში.

აღნიშნულის საფუძველზე პროკურატურამ მოითხოვა გაიხილონ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის საქმიანობის საკითხი თვით მის ხელმძღვანელთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, რომლებიც თავიანთი უპასუხისმგებლო მოქმედებით აშკარად უპირისპირდებიან რუსეთის ოფიციალურ პოლიტიკას, ძირს უთხრიან კეთილმეზობლურ ურთიერთობას მთლიანად ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის, წარმოქმნიან დესტაბილიზაციის კერებს კავკასიის რეგიონში, რასაც შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს.

რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორი საპასუხო წერილში, კერძოდ, წერს:

— კონფედერაცია, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რეგისტრირებული არ არის რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე კანონით დადგენილი წესით. რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე კონფედერაციის პრეზიდენტის ი. მ. შანიბოვის მიმართ და წაუყენა ბრალდება, რომ იგი ეწეოდა ომის პროპაგანდას, აყალიბებდა და აფხაზეთში საომრად აგზავნიდა მოხალისეთა უკანონო ფორმირებებს, საჯაროდ მოუწოდებდა მოეწყოთ ტერორისტული აქტები ქ. თბილისში, მძევლებად გამოაცხადა ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართული ეროვნების ყველა პირი.

დაღესტნის რესპუბლიკის პროკურატურამ ანალოგიური მოქმედებისთვის სისხლის სამართლის საქმე აღძრა კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის დ. მ. ხალიდოვის მიმართ.

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეები ერთ წარმოებად გაერთიანდა. წინასწარ გამოძიებას აწარმოებს რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის საგამოძიებო სამმართველო.

მაგრამ იმის გამო, რომ ი. მ. შანიბოვი მძიმედ არის დაჭრილი და სტაციონარულ მკურნალობაზე იმყოფება, საქმის გამოძიება ფერხდება.

რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის პროკურორებს დაავალა შეემოწმებინათ სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებათა შესაძლო მონაწილეობა აფხაზეთში მოხალისეთა გაგზავნაში, რაც არ დადასტურდა.

რამდენადაც რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის პასუხისმგებლობა დაქირავებულებთან დაკავშირებული საქმიანობისთვის, რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურა, ამჟამად ამუშავებს ასეთი კანონის პროექტს...

პროკურატურის ძალისხმევას ამაოდ არ ჩაუვლია, დადგა აფხაზი ექსტრემისტების, მათი ჩრდილოკავკასიელი წამქეზებლების და დამქაშების გამოკითხვის ჟამი.

დავით ბიწაძე.

ფელეტონის მაგიერ

მაფია

ქუჩა-ქუჩა, ეზო-ეზო,
დაბრძანდება მაფია...
ახლა სახლში შემოვიდა, —
შუქი აღარ ანთია.
რაც ყველაზე მთავარია,
გვთხოვენ რუსულ „მანათებს“,
კუპონს მივცემთ —
დაგვაბნელებს!
მანეთს მივცემთ — გვანათებს!
დარბაზ-დარბაზ, კიბე-კიბე,
შემოვიდა მუქარით,
ფული ისე შეგვაწერა,
ვითომ გვქონდეს დუქანი.
ერთს, ალბათ, გამოგვეჭერს
წყლის და გაზის გამშვები,
ჩვენ თუ ამათ გადავუხდით,
არ ყოფილა საშველი.
თუ დასჭირდათ, სიარულზეც
დაგვადებენ [illegible],
უმანეთოდ ეზოდანაც
ვერ გადავალთ გადაღმა.
თვალხელშუა გაგვქურდავს
ტაქსია თუ რაფია,
მოძრავიც და უმოძრაოც
ხელში შერჩა მაფიას.
ზოგმა შრომა დაირცხვინა,
საქმეს ეძებს სარფიანს,
მერე ხდება კაცის მკვლელი,
ყაჩაღი და მაფია.
რაშიც გვიჭირს, რაშიც
გვილხინს,
ამას ყველას ვუყურებთ,
რაც გვაქვს, მასაც რომ
გვართმევენ,
ამას რატომ ვუყურებთ?!
ერთმანეთის ძარცვით
ვცხოვრობთ,
ვაი, ასეთ ცხოვრებას,
გადაიქცნენ ზოგ-ზოგები
უქნარებად, მცონრებად.
ერთში ვხედავ გამოსავალს,
თუ ჰკვიანად ჩამთვლიან:
მაფიისგან რომ დაგვიცვას,
ჩვენვე გავხდეთ მაფია.

გურამ კლდიაშვილი.

ნიაღვარი, რომელიც ყველა ჯებირს წაიღებს

სპეციალისტები თვლიან, რომ თუ გადამჭრელ მოქმედებაზე არ გადავალთ, 5-6 წლის შემდეგ ნარკომანიისა და ნარკობიზნესის განვითარება საშიშ ზღვარს, პიკს მიაღწევს.

7 თებერვალს, თბილისში, თიანეთის ქუჩაზე, უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი ვახილ კობახიძე მოკლეს. მას შემდეგ ცოტა ხანი გავიდა და, აი, 18 თებერვალს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს, უშიშროების სამინისტროსა და რესპუბლიკის პროკურატურის თანამშრომლებისაგან შემდგარმა ოპერჯგუფმა დააკავა მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირები. ერთ ეჭვმიტანილს ბინაში „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი უპოვეს, მეორეს — მოპარული და გაძარცვული ავტომანქანის ნაწილები; მაგრამ ის, რაც მესამის ბინაში იყო, წარმოსადგენადაც ძნელია — 318 გრამი „ოპიუმი“, აგრეთვე ხიშტ-დანა. მათ აღიარეს დანაშაული, თუმცა, როგორც ვარაუდობენ, ნარკომან-მკვლელთა სია ხვალ-ზეგ 3-4 კაცით შეივსება.

ამავე სამმართველოს თანამშრომლებმა იმავე დღეს რუსთავში ადრე ნასამართლევი კადირ მახანოვი დააკავეს. დაპატიმრებულს 80 გრამი „ოპიუმი“ და 15 მილილიტრი ნარკოტიკული ნივთიერებების გასახსნელად საჭირო ხსნარი, ეგრეთ წოდებული „ანჰიდრიდი“ უპოვეს.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, პოლიციის გენერალ-მაიორ დემურ მიქაძის სამუშაო კაბინეტში ამას წინათ ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს თანამშრომლები შეიკრიბნენ. გაიმართა საქმიანი, ცხარე სჯა-ბაასი. სხვანაირად არც შეიძლებოდა — ჩვენს ქვეყანაში ამ ბოლოხანს ხომ ისეთი მყიფე და არასტაბილური ნარკოსიტუაცია ჩამოყალიბდა, კოლუმბიასაც კი შეშურდება.

სალი თვალით დაკვირვებამ და არსებული ნარკოსიტუაციის ანალიზმა დაგვანახა, რომ ჩვენს ბაზარს უფრო და უფრო რეგულარულად აკითხავენ უცხოელი რეალიზატორები. [illegible] 250 ასეთი პიროვნება გამოავლინეს და დააპატიმრეს. სულ ახლახან, თბილისში ნიგერიელი მოქალაქე დააკავეს. ის ბათუმის გავლით თურქეთს აპირებდა გამგზავრებას. იმის წინ, ლაოსელი მოხვდა პოლიციის ბადეში, აგრეთვე თურქმენი მოქალაქე, რომელიც მარნეულს ესტუმრა. ისიც დაპატიმრებულია...

ასეთ ვითარებაში შეუძლებელია არ დაგვაფიქროს ჩვენი მესაზღვრეებისა და მებაჟეების „მოქმედებამ“, უფრო სწორად, უმოქმედობამ. ისინი ხშირად კი არ ებრძვიან, არამედ ხელს უწყობენ რეალიზატორებს ნარკოტიკული ნივთიერებების [illegible]. თუმცა, [illegible], მათ სათანადო აპარატების უქონლობაც უშლით ხელს — არც ამ საქმისთვის გაწვრთნილი ძაღლები ჰყავთ და არც სპეციალური ტექნიკური საშუალებები აქვთ. არადა, უამისოდ ამ საქმის დიდ პროფესიონალებს — თვით იტალიელებსა და ამერიკელებსაც გაუჭირდებოდათ მუშაობა.

— რა ხერხს აღარ მიმართავენ ნარკოტიკული ნივთიერებების [illegible] „წამლის“ საზღვარზე უპრობლემოდ გადმოსატანად — [illegible] 20-30 პარკს [illegible] ჩვენ, აბა, სადა გვაქვს ამის საშუალება, — სინანულით ამბობს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსი ჯემალ ჯანაშია; თუმცა, თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევაო, ნათქვამია. ჩვენს მესაზღვრეებსა და მებაჟეებს რომ მოენდომებინათ, ასე ცუდად არ იქნებოდა საქმე. მაგრამ რომ არ ინდომებენ? — საჭიროა მათთან შეხვედრა, პრინციპული საუბარი და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა, უამისოდ მხოლოდ ქვეყანა წააგებს, — გადაწყდა თათბირზე.

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ვიღაც დაინტერესებულია დეგრადაციის გზაზე დააყენოს ქართველი ერი. სხვა რა უნდა დაარქვა ზოგიერთის მოქმედებას? ესეც რომ არ იყოს, ნარკომანები და ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზატორები კბილებამდე შეიარაღებული არიან, მძიმე დანაშაულთა უმეტესობაც მათი ხელით არის ჩადენილი, თუ დღესვე არ შევუდგებით გადამჭრელ მოქმედებას, ხვალ მდგომარეობა გაცილებით მძიმე და, შესაძლოა, უმართავიც კი გახდეს, — თქვა ბატონმა დემურ მიქაძემ. — ასეა, თუმცა ნარკომანიისა და ნარკობიზნესის განვითარების ბოლო სტადია, პიკი, ჯერ არ დამდგარა. ნიაღვარი, რომელიც ყველა ჯებირს წაიღებს, ჩემი აზრით, შეიძლება 5-6 წლის შემდეგ მოვარდეს, — თავის მხრივ აღნიშნა ჯემალ ჯანაშიამ.

• • •

თბილისში, ვაკეში, დააკავეს გდა ბაგიანი. მას რვა გრამი „ოპიუმი“ ჰქონდა, მიხეილ ქართველიშვილს კი 12,2 გრამი „ანაშა“.

• • •

ჩვენმა ტურისტებმა რატომღაც ძალიან მოუხშირეს პაკისტანსა და ინდოეთში სიარულს. ყარაჩი ნარკოტიკული ნივთიერებების უდიდესი მწარმოებელია, [illegible] ინდოეთიც არ ჩამოუვარდება. აგერ, დუშანბეში 16 ქართველი მანდილოსანი დააპატიმრეს. რომ იცოდეთ, რა მაღალი წრის ქალები არიან! — მათ ნარკოტიკული ნივთიერებების ყიდვა და საზღვარზე გადმოტანა ედებათ ბრალად.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

თანაც, სულ ერთი ხალხი დადის ამ ქვეყნებში. ვინ არის თვითმფრინავების ან მათი ბარგის შემმოწმებელი? ერთი სიტყვით, დროა, ვიღაც დაინტერესდეს „დედამიწის გარშემო მოგზაურთა“ და მათ სპონსორთა საქმიანობით, ვიზებისა და მოქალაქეთა რეგისტრაციის სამსახურებში მომრავლებული დარღვევებით.

• • •

მარნეულელ ამედ გაჭიევს პირადი ჩხრეკისას 52,6 გრამი „ოპიუმი“ აღმოაჩნდა, ხოლო 40 წლის თბილისელ დიასახლისს ჯულიეტა კარაგულოვას 86 ამპულა „მორფინი“.

• • •

ნარკოტიკული ნივთიერებები ზღვასავით მოედინება ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანიდან, ჩეჩნეთიდან, ჩრდილოეთ ოსეთიდან... სამაჩაბლოში, ცხინვალში, ოჯახი არ არის, „წამლით“ არ ვაჭრობდეს.

გულზე ტყვიასავით მოხვდა ცნობა იმის შესახებ, რომ ზოგიერთ რაიონში ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი მცენარეები ისე მოჰყავთ, როგორც მარნეულში ან წალკაში კარტოფილი. ასეთი ნათესები მრავლად განადგურდა მარნეულის, ბოლნისისა და ლაგოდეხის რაიონებში. თუმცა, არავინ გამორიცხავს, რომ სამომავლოდ ამ პლანტაციების [illegible] მილიონებს [illegible], სვანეთში, ხევსურეთსა და პირიქითა თუშეთში შესანიშნავი პირობებია ნარკოტიკული ნივთიერებებით მდიდარი მცენარეების მოსაყვანად. ამიტომ, ნურავის გაუკვირდება, თუ ერთ მზიან დღეს, შუააზიელებივით, ხალხის ერთი ნაწილი ცხვარს მიატოვებს და „ოპიუმის“ დამზადებაში დაოსტატდება...

ახალგორელ თამაზ არიევსა და მამუკა კუძიევს რეალიზაციოდ გამზადებული 12,8 გრამი „ოპიუმი“ უპოვეს. ამ უკანასკნელს ავტომატიც ჩამოართვეს.

რუსთაველ ვახტანგ ხარიძეს ბინაში 1,2 გრამი „ოპიუმი“ ჰქონდა, ბათუმელ გარეგინ მელქონიანს კი — 70,5 გრამი „კოკნარი“.

დღეს არავის აწუხებს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევის წინ, ნარკოლოგიურ აქტივობაზე ახალგაზრდობის შემოწმება. ყველამ იცის, როგორ ფეხმოკიდებულია ეს სენი სტუდენტ-ახალგაზრდობასა და არასრულწლოვანთა შორის. საქმე ის არის, რომ დღეს, ფაქტობრივად არ მუშაობს არც ერთი ნარკოლოგიური დისპანსერი, არც სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებებით იწუხებს ვინმე თავს!

რა ქნას ახალგაზრდობამ? — ძველი დრო წავიდა. ისწავლეო და იშრომეო, აღარ სთხოვენ. ბოლო 10 წელიწადში საჯარო ბიბლიოთეკაში მკითხველთა რიცხვი 80-85 პროცენტით შემცირებულა. ადრე ჩვენი ყოფის შესაბამისი რამდენიმე კარგი ტრადიცია არსებობდა, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოებისა და უმაღლესი სკოლების მესვეურთა შეხვედრა, საქმიანი სჯა-ბაასი. ახლა ესეც დავიწყებულია, კომუნისტურ გადმონაშთად არის მიჩნეული.

ციხეებშიც არ არის საქმე კარგად. არავინ ფიქრობს, ნარკომანი ცალკე მოათავსოს და მასზე მუდმივი „მზრუნველობა“ დააწესოს. ეს ყოვლისშემძლე „წამალი“ თავისუფლად აღწევს „შეუღწევად“ მავთულხლართში.

• • •

14 მარტს ზუგდიდში მესტიის სატყეო მეურნეობის სატვირთო ავტომანქანა გააჩერეს. მძღოლს, მესტიის რაიონის სოფელ ხაიში მცხოვრებ ნოდარ ჭკადუას, 800 გრამი „მარიხუანა“ აღმოაჩნდა, თბილისის ერთ-ერთი ხილბოსტნეულის მაღაზიის დამფასოებელს კი 23 გრამი „მარიხუანას“ დაფასოება მოესწრო.

ფონიჭალელი დმანის ალიევი „მარიხუანას“ არ კადრულობდა, მას ბინაში 20 გრამი ძლიერმოქმედი, ექსტრაკლასის ნარკოტიკული ნივთიერება „ოპიუმი“ უპოვეს.

• • •

მოსალოდნელია, ნარკოტიკული ნივთიერებები ჰუმანიტარულ დახმარებასაც შემოაყოლონ. ამიტომ, თუ სიკეთე გვინდა, საჭიროა ჰუმანური დახმარების მიმღებ და გამანაწილებელ კომისიაში ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს თანამშრომელიც შევიდეს.

დღეს ნარკომანებს მთელი „სამოები“ აქვთ. „წამალი“ რომ შემოაკლდებათ, მეგობრები ფულს უგროვებენ, ფეხი დაუცდებათ — ფულს უგროვებენ.

ასეთი პრაქტიკა თბილისის ბევრ უმაღლეს სასწავლებელში, ბევრ ფაკულტეტზე, ბევრ ჯგუფში დღესაც არსებობს.

ასევე მოსალოდნელია, რომ ხვალ-ზეგ ნარკოტიკული ნივთიერებების ჩვენთვის უკვე ცნობილ ასორტიმენტს, სინთეტიკური ნარკოტიკული ნივთიერებებიც შემატოს. ბაქოელებს უკვე აქვთ ამისი გამოცდილება. „ლაბორატორიული წესით“ ისეთი სინთეტიკური „წამალი“ დაამზადეს, მთელ მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება... რით ჩამოუვარდება ქართველი აზერბაიჯანელს — ჭკუით, ფანტაზიით თუ ფულის კეთების წყურვილით?

• • •

[illegible] ტარიელ პაპაშვილსა და მიდარ ტურაშვილს 82 გრამი „მარიხუანა“ და ხელყუმბარა „ფ-1“-ი უპოვეს.

თანაქალაქელებს არც დიდუბელი მიხეილ ზაბულეიშვილი ჩამორჩა. მას 25,6 გრამი „კოკნარი“ ჰქონდა.

• • •

„წამალს“ ადამიანი ეშმაკეულ, მოგონილ, ავადმყოფობებით, სიძაბუნითა და ათასგვარი სამინელებებით დასახლებულ სამყაროში გადაჰყავს.

ეს ნელი, [illegible] სიკვდილია.

ნუ გაახარებთ ეშმაკს, იწამეთ ღმერთი!

ზაურ მაკარაძე.

ხსოვნა

ვარლამ კვერნაძე

გარდაიცვალა ვარლამ (ვალიკო) ალექსის ძე კვერნაძე — „ძველი გვარდიის“ ღირსეული წარმომადგენელი, ომისა და შრომის ვეტერანი, საქართველოს ტექნიკურ ინტელიგენციაში დიდად დაფასებული პიროვნება.

ვარლამ კვერნაძე 1909 წელს დაიბადა წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკში, მოგვიანებით კი დასახლდა ქალაქ ხონში, სადაც იგი — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებული — პროფტექნიკურ სასწავლებელში მოღვაწეობდა, იყო ოსტატი, შემდეგ კი ამ სასწავლებლის დირექტორი. ბატონმა ვარლამმა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს შეალია მთელი შეგნებული ცხოვრება.

მას არც მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე შეურცხვენია თავი. დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით.

ბატონი ვარლამი იყო ბევრი საინტერესო გამოგონებისა და წინადადების ავტორი, რისთვისაც მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული გამომგონებლის საპატიო წოდება.

...ბევრი ტკბილ-მწარე აგემა ცხოვრებამ, სამწუხაროდ, ძმათამკვლელ ომსაც შეესწრო თავის მშობლიურ ხონში... მაინც რწმენით იცხოვრა ბოლომდე და მომავლის იმედით წავიდა იმ ქვეყანას, წავიდა გარშემორტყმული შვილებითა და შვილიშვილებით, თან წაიყოლა ხონის ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის გულისწუხილი.

ნათელი დაადგეს მის სულს!

ხონის რაიონის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭო.

გივი ქვანია

გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, შესანიშნავი კლინიცისტი და პედაგოგი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა ქირურგიის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გივი აქსენტის ძე ქვანია**. დაიბადა 1927 წელს, ქალაქ ფოთში, მოსამსახურის ოჯახში. მუშაობის მანძილზე გაიარა გზა ლაბორანტიდან ბავშვთა ქირურგიის კათედრის გამგის თანამდებობამდე.

შესრულებული და გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მათ შორის 5 მონოგრაფია, რამდენიმე მეთოდური რეკომენდაცია და რაციონალური წინადადება. მისი ხელმძღვანელობით დაიწერა 2 სადოქტორო და 5 საკანდიდატო დისერტაცია.

დიდია გივი ქვანიას როლი საქართველოში ბავშვთა ქირურგიისა და ორთოპედიის განვითარებაში. მისი ინიციატივით რესპუბლიკაში ბავშვთა რამდენიმე ქირურგიული განყოფილება გაიხსნა.

1978-91 წლებში იყო პედიატრიული ფაკულტეტის დეკანი და ყოველთვის დიდ დროს უთმობდა სტუდენტებთან ურთიერთობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია გივი ქვანიას საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მისი როლი საქართველოს ბავშვთა ქირურგიული საზოგადოების და ბავშვთა ქირურგიის რესპუბლიკური ცენტრის ჩამოყალიბებაში. იგი იყო თბილისის ბავშვთა მთავარი ქირურგი. თავისი ნაყოფიერი სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული იყო პიროგოვის სახელობის მედლით, მთავრობის ჯილდოებით.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მოქალაქე, მეცნიერი, პედაგოგი, გულისხმიერი მეგობარი და ჩვენ, მის კოლეგებს, მეგობრებს, სტუდენტ ახალგაზრდობას და რაც მთავარია, პატარა პაციენტებს, დიდი სევდა დაგვიტოვა.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; ბავშვთა ქირურგიის კათედრა, პედიატრთა და ბავშვთა ქირურგების საზოგადოება.

გიორგი ცანავა

28 მარტს 77 წელიწადი შეუსრულდებოდა სოხუმისა და მთელი აფხაზეთის ღირსეულ მოქალაქეს, სანიმუშო ქართული ოჯახის პატრონს **გიორგი ერმილეს ძე ცანავას**.

1948 წელს, ამიერკავკასიის რკინიგზის საინჟინრო-სატრანსპორტო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბატონი გიორგი ცანავა აფხაზეთში ჩამოვიდა და ამ დროიდან მოყოლებული მთელი თავისი ენერგია, გამოცდილება და მონდომება სარკინიგზო და სამოქალაქო მშენებლობას შეალია.

აფხაზეთის ომის მთელ პერიოდში ბატონ ჟორას ფეხი არ მოუცვლია თავისი საყვარელი ქალაქიდან; გულმოკლული შეჰყურებდა, თუ როგორ უმოწყალოდ ბომბავდნენ და ანგრევდნენ მის მიერ აშენებულ სოხუმის მშვენიერ შენობებს აფხაზი ექსტრემისტები, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას აგურიც არ შეუმატებია ქალაქის აღმშენებლობისთვის.

სოხუმის დაცემის საბედისწერო დღეებში ბატონმა ჟორამ კატეგორიულად უარყო ახლობლების დაჟინებული თხოვნა დაეტოვებინა ქალაქი იმ მოსაზრებით, რომ მას — გიორგი ცანავას, აფხაზები ხელს არ ახლებდნენ.

ვაგლახ, რომ მწარედ შეცდა.

ორ ოქტომბერს აფხაზმა ბოევიკებმა დახვრიტეს იგი და მასთან ერთად ოთხი ხანდაზმული მეზობელი — არიადნა შელია, კლარა გოგავა, ნათელა და დავით კუციები. გარეწრებმა ესეც არ იკმარეს, და ცეცხლს მისცეს მათი სახლ-კარი.

ბატონი გიორგი — პიროვნება, რომელიც სოხუმში არც ერთ გასვენებას არ აკლდებოდა, პატივმიუგებელი წავიდა და დღესაც არავინ უწყის, სად განისვენებს.

აფხაზეთი, როგორც თვით ბატონ ჟორას ურყევად სჯეროდა, ყოველთვის იქნება საქართველოს შემადგენლობაში.

ჩვენ ყველას — მის ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს, მუდამ გვემახსოვრება ამ დიდბუნებოვანი კაცური კაცის სახელი და პატივს მივაგებთ მის ხსოვნას.

ოჯახი და მეგობრები.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის კოლექტივი თანაუგრძნობს ჩვენი გაზეთის ყოფილ რედაქტორს მინდია უგრეხელიძეს დედის

ლიანა სიმონის ასული ეზიკაშვილი-უგრეხელიძის

გარდაცვალების გამო.

სახელმწიფო კონცერნ „საქნავთობპროდუქტის“ კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბოლნისის კომერციულ შუამავლური საწარმოს დირექტორის გურამ კვერნაძის მამა

ვარლამ ალექსის ძე კვერნაძე

და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

სარედაქციო ფოსტიდან

ორასკაციანი კოლექტივის აღშფოთება

წლეულს, 9 მარტს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ სათაურით — „თავდამსხმელები არიან პოლიციელები“, გამოქვეყნებული იყო საქინფორმის მიერ მოწოდებული მასალა, რომელშიც აღნიშნულია:

„ე. წ. 4 მარტს ჩუღურეთის რაიონის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაახლოებით 20 საათზე მთვრალმა პოლიციელებმა [illegible] საქართველოს [illegible] გვარდიის ვეტერანთა კავშირის წევრები და დაცხრილეს მათი ავტომანქანა, ხოლო ჩუღურეთის პოლიციაში არ აღძრულა ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე“.

აღნიშნული ინფორმაცია თავიდან ბოლომდე სიცრუეა და ჩუღურეთის რაიონის პოლიციას ამ ფაქტთან, თუ ასეთი რამ საერთოდ მოხდა, არავითარი კავშირი არა აქვს. ამასთანავე, უნდა გაცნობოთ, რომ ასეთი შეუმოწმებელი ფაქტის გამოქვეყნებამ ჩუღურეთის რაიონის პოლიციის განყოფილების ორასკაციანი კოლექტივის აღშფოთება გამოიწვია და ამიტომ მოითხოვენ, რომ საქინფორმის [illegible] მიზანი, დეზინფორმაციის წყარო და გაზეთის უახლოეს ნომერში გამოქვეყნდეს ჩვენი ეს განცხადება.

არჩილ არველაძე,
თბილისის ჩუღურეთის რაიონის პოლიციის განყოფილების უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.